www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 14 დეკემბერი, 2013 წელი. | №3429 (236) | ფასი 50 თეთრი

„ივანიშვილის პოლიტიკური მემკვიდრეობა" პირველი მოსმენით

პარლამენტმა გუშინ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" კოდექსის პროექტი პირველი მოსმენით მიიღო. განხილვაზე სიტყვით გამოსვლის უფლებით პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ისარგებლა. მან მიმართვის უმეტესი დრო ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკის („ცხოვრება და კანონი") ციტირებას დაუთმო. თვითმმართველობის შესახებ ილიას წერილზე საუბრის დასრულების შემდეგ უსუფაშვილმა აღნიშნა, რომ მასში ყველაფერი ნათქვამია და პრობლემა ის არის, რომ ეს დიდი ხანია, ნათქვამია, ეს არის არა ევროკავშირისა და ევროსაბჭოს სიტყვები, არამედ ამის შესახებ ილია ჭავჭავაძე 120 წლის წინათ საუბრობდა. **„ვიცოდით ეს ყველაფერი, წაკითხულიც გვაქვს, მაგრამ არ და ვერ ვაკეთებდით ამას. ამიტომ მე, თქვენთან ერთად, მართლაც, ამაყი ვარ იმით, რომ საქართველოში ერთი ძალიან დიდი ბარიერი ილახება, რომელთან შერკინებაც ვერავინ გაბედა. ალბათ იმიტომ ვერ გაბედეს, რომ სუსტი ხელისუფალნი იყვნენ,"** - აღნიშნა უსუფაშვილმა, - **ქვეყანაში ბევრი არჩეული მერისა და გამგებლის არსებობისა მხოლოდ სუსტებს ეშინიათ."**

პარლამენტის თავმჯდომარე მადლობას უხდის მთავრობას, ასევე პარლამენტის წევრებს, ოპონენტებს, რომელთა ოპონირების გარეშე, როგორც დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, სწორი გადაწყვეტილებები არ მიიღება. **„ყველამ, ვინც უამრავი დრო და ენერგია დავხარჯეთ ამ კოდექსის პროექტის მომზადებაში, განხილვაში, დებატებში, მინდა, ამ წუთებით ვიამაყოთ.**

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

13.8 მილიონი ლარი ციტრუსის სუბსიდირებისთვის

მთავრობის სხდომის შემდეგ სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ, ციტრუსის ექსპორტის შეუფერხებლად დასასრულებლად, მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ ისაუბრა.

შალვა ფიფიას ინფორმაციით, სახელმწიფომ 13.8 მილიონი ლარის ოდენობის სუბსიდია გამოყო. როგორც მინისტრი ამბობს, დღევანდელი მდგომარეობით, ექსპორტზე უკვე 17 000 ტონაზე მეტი ციტრუსია გასული. შარშან ანალოგიურ პერიოდში კი, ფიფიას თქმით, ექსპორტი, დაახლოებით, 10 000 ტონას შეადგენდა.

შალვა ფიფია ციტრუსის მისაღები ფასის შესახებ საუბრობს და აღნიშნავს, რომ 1 კგ სტანდარტული მანდარინის სუბსიდირება - 15 თეთრით, ხოლო არასტანდარტულისა 10 თეთრით არის განსაზღვრული. **„წელს ციტრუსის ძალიან დიდი მოსავალია - დაახლოებით, 100 000 ტონა. შარშან 55 000 ტონა იყო. შარშან ფასი, დაახლოებით, 50-60 თეთრს შეადგენდა, წელს კი 45 თეთრამდე შემცირდა. ამიტომ, მოსახლეობა დამატებით სუბსიდირებისთვის გამოყოფილი თანხას მიიღებს,"** - ამბობს შალვა ფიფია.

მინისტრის მონაცემებით, აჭარასა და გურიაში მანდარინის ჩასაბარებელი 36 პუნქტი მუშაობს.

ფიფიას თქმით, უამინდობის გამო ციტრუსის ექსპორტი შეფერხდა, თუმცა საგანგაშო არაფერია. როგორც შალვა ფიფია ამბობს, ციტრუსის მნიშვნელოვანი რაოდენობა რუსეთში უკვე მიდის. **„უამინდობის გამო ბათუმის პორტში სამი ბორანი ელოდება შემოსვლას, რომლებიც, დაახლოებით, 10 000 ტონა ციტრუსს წაიღებს,"** - დასძენს მინისტრი.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

გუბერნატორებად შსს-ს კადრები ინიშნებიან

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის კანცელარიაში გუშინ ახლად დანიშნული გუბერნატორები წარადგინა. კადრების მნიშვნელოვან ნაწილს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნები შეადგენენ.

გუბერნატორებთან ერთად, ღარიბაშვილმა მთავრობის კანცელარიის რეგიონებთან და ადგილობრივ თვითმმართველობებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელი აკაკი ჩხენკელი წარადგინა, რომელმაც ირაკლი მელაშვილი ჩაანაცვლა. ირაკლი მელაშვილი კი მუშაობას ამავე დეპარატმენტში მოადგილის თანამდებობაზე გააგრძელებს. როგორც მელაშვილი ამბობს, პრემიერის გადაწყვეტილება თვითმმართველობის კოდექსის პროექტს არანაირად არ ეხება. **„ეს გადაწყვეტილება ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს, ისევ ამავე თემებზე ვიმუშავებ,"** - აღნიშნავს მელაშვილი.

ჩხენკელი აქამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე იყო. თვითმმართველობის კოდექსის პროექტის შესახებ დასმულ კითხვაზე პასუხისას მთავრობის კანცელარიის რეგიონებთან და ადგილობრივ თვითმმართველობებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ახალმა ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დოკუმენტს ჯერჯერობით არ გაცნობია. **„გავეცნობი იმ პრობლემატიკას, რამაც ამ კოდექსის შესახებ აზრთა სხვადასხობა გამოიწვია. შევისწავლი. დიდ დროს არ გასტანს,"** - თქვა აკაკი ჩხენკელმა.

გუბერნატორები ჟურნალისტებთან საუბარში პრიორიტეტების შესახებ ვერ საუბრობენ და აღნიშნავენ, რომ მხარეების პრობლემებს უახლოეს დღეებში გაეცნობიან და ანგარიშს პრემიერის წინაშე წარადგენენ.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

უკრაინაში მრგვალი მაგიდა „სიტყვიერი შედეგით„ დამთავრდა

1 აშშ დოლარი			1.6643⇓
1 ევრო			2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა			2.5933⇓
1 თურქული ლირა			0.8622⇓
100 რუსული რუბლი			5.0433⇓
თბილისი			7°C - -3°C
ქუთაისი			8°C - -1°C
ზუგდიდი			8°C - 1°C
ბათუმი			8°C - -2°C
ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

„თანამეგობრობის თასი„ ქართველების გარეშე გათამაშდება

რუსეთის ფეხბურთის ფედერაციას სანკტ პეტერბურგში, „თანამეგობრობის თასის" 22-ე გათამაშებაზე, საქართველოს ასაკობრივი ნაკრების (1993 და მომდევნო წლებში დაბადებულები) მიწვევა სურს, რასაც რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის ნიკოლაი ტოლსტიხის მიერ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ზვიად სიჭინავას სახელზე გამოგზავნილი ოფიციალური წერილიც ადასტურებს, მაგრამ რიგი მიზეზების გამო საქართველოს ნაკრები სანკტ პეტერბურგში ვერ გაემგზავრება.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

ჭაბუა ამირეჯიბი - თავისუფლებისთვის განწირული ბიოგრაფია

სოფო ქილასონია

გუშინ 92 წლის ასაკში ჭაბუა ამირეჯიბი გარდაიცვალა. გულაგს გადარჩენილი მწერალი, მწერალი, რომელმაც „დათა თუთაშხია" დაწერა და იქცა დიდ ქართველ მწერლად უკვე საბჭოთა საქართველოში. ბევრი უთქვამთ და ბევრსაც იტყვიან მის გენიალურობაზე. მის ძირითად ნაწარმოებზე, რომელიც შედგა საბჭოეთში იმის მიუხედავად, რომ ეს იყო ნაწარმოები ადამიანის თავისუფლების უფლებასა და აუცილებლობაზე. ნაწარმოები, სადაც მთავარი გმირი საკუთარი ხალხის გამოფხიზლებისთვის თავს წირავს. ალბათ ამიტომ დათას პერსონაჟი ბევრჯერ შეუდარებიათ მესიისთვის, ხოლო ზოგადად ნაწარმოები კათარზისის და ჰუამნიზმის კონტექსტში განუხილავთ.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

ახალი კომისიის პირველი შეწყალება

პრეზიდენტის ყოფილ ადმინისტრაციაში გუშინ შეწყალების კომისიის სხდომა ჩატარდა.

შეწყალების კომისიამ 160-მდე მსჯავრდებულის საქმე განიხილა, რომელთაგან 54 მსჯავრდებულის გათავისუფლების და 15-ის სასჯელის განახევრების რეკომენდაცია გასცა.

„სრულად გათავისუფლების რეკომენდაცია 54 მსჯავრდებულზე გაიცა, რომელთაგან 4 არასრულწლოვანია. 15 მსჯავრდებულზე კი სასჯელის განახევრების რეკომენდაცია გაიცა. შეწყალებულთა სიაში რამდენიმე ქალბატონიცაა. გარდა ამისა, მიმდინარეობს და განიხილება ნასამართლეობის მოხსნის საქმეები,“ - განაცხადა ნანუაშვილმა და დასძინა, რომ აღნიშნული 160 საქმიდან რამდენიმე გადაიდო, რათა კომისიამ დეტალები კარგად შეისწავლოს.

მისივე თქმით, შეწყალების კომისიამ დადებითი რეკომენდაცია, ძირითადად, ნარკოდანაშაულისთვის დაპატიმრებულ მსჯავრდებულებზე გასცა.

ამასთან, როგორც სახალხო დამცველმა აღნიშნა, კომისიის მიერ რეკომენდებულ პატიმართა სიას შესაძლოა, რამდენიმე პირი კიდევ დაემატოს. უჩა ნანუაშვილის ცნობით, შეწყალების კომისია რეკომენდებულ პატიმართა სიას საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, სავარაუდოდ, დღეს გადაუგზავნის.

შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე ელისაშვილის ინფორმაციით, საერთო ჯამში, კომისიაში განსახილველად დაახლოებით, 600 საქმე შევიდა. ელისაშვილის განმარტებით, კომისიამ შეწყალებისთვის რეკომენდაციის გაწევისას პრიორიტეტი არასრულწლოვნებს მიანიჭა.

„ჩვენ მიერ რეკომენდებულ მსჯავრდებულთა სია პრეზიდენტს გადაეგზავნება და, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში მოაწერს მას. თავის მხრივ, პრეზიდენტი შეწყალებულთა სიას სასჯელაღსრულების სამინისტროს გადაუგზავნის,“ - აღნიშნა ელისაშვილმა.

შეწყალებულთა უმრავლესობა საპატიმროებს ახალ წლამდე დატოვებს. კომისიის მომდევნო სხდომა უახლოეს კვირებში გაიმართება.

იუსტიციის სახლის მოქალაქეთა მისაღები დარბაზი რამდენიმე კვირა ვერ გაიხსნება

თბილისის იუსტიციის სახლის მოქალაქეთა მისაღები დარბაზი რამდენიმე კვირა ვერ გაიხსნება. როგორც საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, თბილისის იუსტიციის სახლს შეფასებითი სამუშაოები ჩაუტარდა, რომლის შედეგებიც მთავრობას უკვე მიაწოდეს.

თეა წულუკიანის ინფორმაციით, იუსტიციის სამინისტროსა და რეგიონული განვითარების სამინისტროს მონაწილეობით სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომელიც ამ პრობლემაზე იმუშავებს.

„სახურავის კონსტრუქციისა და შეფუთვის ნაწილში პრობლემებია, რის გამოც მოქალაქეთა მისაღები დარბაზი რამდენიმე კვირის განმავლობაში ვერ გაიხსნება,“ - განაცხადა თეა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრის ინფორმაციით, ამის მიუხედავად მოქალაქეები იუსტიციის სახლის სერვისებს შეუფერხებლად მიიღებენ.

როგორც თეა წულუკიანმა აღნიშნა, მოქმედებს პუნქტები აღსრულების ეროვნულ ბიუროში, ჩუბინაშვილისა და თამარ მეფის გამზირის კვეთაზე, მეტროსადგურ „მარჯანიშვილთან“ და ვაჟა-ფშაველას გამზირზე, ეროვნულ არქივში, სადაც მოქალაქეებს დოკუმენტების ჩაბარება და კონსულტაციების მიღება შეუძლიათ.

„გამზადებული დოკუმენტების მიღება კი შესაძლებელია თბილისის იუსტიციის სახლის მარცხენა მხარეს, რომელიც სრულიად უსაფრთხოა. მე, როგორც მოქმედი იუსტიციის მინისტრი, ბოდიშს ვუხდი მოსახლეობას წინა ხელისუფლების შეცდომების გამო, ვინაიდან ერთ სივრცეში მისვლა გაცილებით მარტივია, ვიდრე ოთხ სხვადასხვა ადგილას. თუმცა, მოქმედ ცენტრებშიც მომსახურება ერთი ფანჯრის პრინციპით ხდება,“ - აღნიშნა წულუკიანმა.

ვანო მერაბიშვილი: „ჩემ წინააღმდეგ ყველა საქმე შეთხზულია ლაშა ნაცვლიშვილის მიერ„

ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის ადვოკატმა ოთო კახიძემ გუშინ პრესკონფერენცია გამართა, სადაც მოწმის სტატუსით დაბარებულ რამაზ სულამანიძის მიერ გაკეთებულ განცხადებებზე ისაუბრა.

კახიძის შეფასებით, პროკურატურის მიერ ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის მიმართ პოლიტიკური ნიშნით შეკერილი სისხლის სამართლის საქმე 12 დეკემბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე პრაქტიკულად დაირღვა.

ადვოკატის ინფორმაციით, 12 დეკემბერს ქუთაისში პროკურატურის მთავარმა მოწმემ რამაზ სულამანიძემ „სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამის“ საქმეზე მიმდინარე სასამართლო პროცესის დროს განაცხადა, რომ **„ეს იყო ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პროექტი და ამ პროექტის განხორციელებით რაიმე პირადი სარგებელი არ მიგვიღია და არც დანაშაული ჩამიდენია.“**

როგორც კახიძემ აღნიშნა, სულამანიძემ ასევე თქვა, რომ მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის დადგენილება პროკურატურამ მას შემდეგ გამოიტანა, რაც მას ლაშა ნაცვლიშვილი ესაუბრა.

„ნაცვლიშვილმა მითხრა: „ჩვენ არც შენი და არც ჭიაბერაშვილის დაჭერა არ გვინდა,“ - განაცხადა სულამანიძემ და დაადასტურა, რომ ამ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმის სამიზნე იმთავითვე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი იყო,“ - აღნიშნა ადვოკატმა.

მისივე თქმით, ნაცვლიშვილმა სწორედ სულამანიძის პირით შეუთვალა ჭიაბერაშვილს, რომ თუ იგი პროკურატურას ვანო მერაბიშვილის საწინააღმდეგო ჩვენებას მისცემდა, პროკურატურა სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის დადგენილებას მის შესახებაც გამოიტანდა.

„სხდომაზე პროკურატურის მთავარმა მოწმემ სულამანიძემ მერაბიშვილისა და ჭიაბერაშვილისთვის წარდგენილი არც ერთი ბრალდება არ დაადასტურა. მან აღნიშნა, რომ ხელმძღვანელობისგან არავითარი უკანონო დავალება არ მიუღია. მოწმის შეფასებით, სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამა წარმატებული იყო. პროგრამის მიმდინარეობისას დასაქმების აგენტებმა 600,000 ოჯახში შესვლა და დასაქმების მაძიებელი 700,000 ადამიანის აღწერა მოასწრეს. დასაქმების მაძიებელთა ეს უნიკალური ბაზა დღესაც ინახება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, მაგრამ არავინ იყენებს. შეგახსენებთ, პროკურატურის ვერსიით, მერაბიშვილმა და ჭიაბერაშვილმა „სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამა“ არა დასაქმების მსურველთა აღრიცხვისთვის, არამედ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებისთვის თანხის გადასარიცხად შექმნეს. სულამანიძის ჩვენებამ პროკურატურის ვერსია და ბრალდება სრულად გააბათილა,“ - განაცხადა კახიძემ.

როგორც ადვოკატმა აღნიშნა, მოწმის თქმით, ნაწილობრივი შეფერხება დასაქმების ახლად შექმნილი სამინისტროს მოუმზადებლობამ გამოიწვია, რის გამოც პროგრამა 4 ოქტომბერს შეჩერდა, სწორედ ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის დავალებითა და იმ მიზნით, რომ სახელმწიფო ფინანსები უყაირათოდ არ გახარჯულიყო.

„პროკურატურის მიერ სასამართლოზე დასაკითხად წარმოდგენილი 3969 მოწმიდან უკვე 150-ზე მეტი მოწმე დაიკითხა და ბრალდებულთა დანაშაულზე არც ერთი არ საუბრობს. მოწმეთა უპრეცედენტო რაოდენობა მხოლოდ საქმის პოლიტიკურ მოტივებსა და უხარისხობაზე მეტყველებს,“ - დასძინა ოთარ კახიძემ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 12 დეკემბერს გამართული სხდომის შესახებ განცხადება ვანო მერაბიშვილმაც გაავრცელა.

ყოფილი პრემიერის განცხადებით, აღნიშნული განხილვის შემდეგ დადასტურდა, რომ მის წინააღმდეგ ყველა საქმე ლაშა ნაცვლიშვილმა შეთხზა.

„ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გუშინდელი განხილვის შემდეგ უკვე დადასტურებული ფაქტია, რომ ჩემ წინააღმდეგ ყველა საქმე შეთხზულია ლაშა ნაცვლიშვილის მიერ, პირადად ბიძინა ივანიშვილის დავალებით. ამ საქმეებს სამართლებრივი პერსპექტივა არ გააჩნია და დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან მალე ხელისუფლება იძულებული გახდება, ჩვენ წინააღმდეგ პოლიტიკური დევნა შეწყვიტოს,“ - ნათქვამია ვანო მერაბიშვილის განცხადებაში, რომელიც „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ გაავრცელა.

უამინდობის გამო სასწავლო პროცესი 86 სკოლაში შეჩერდა

საქართველოს მასშტაბით გუშინ უამინდობის გამო 86 სკოლაში სასწავლო პროცესი შეწყდა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ამბობენ, რომ 86 სკოლიდან 69 სკოლა აჭარაში მდებარეობს.

უამინდობის გამო სასწავლო პროცესი ასევე შეწყვეტილია გურრიის ოთხ სკოლაში, იმერეთის ექვს სკოლაში, კახეთში, კერძოდ, ახმეტის ერთ სკოლაში, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში - ერთ სკოლაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში - ოთხ სკოლაში.

რაც შეეხება დედაქალაქს, უამინდობის გამო სასწავლო პროცესი გლდანი-ნაძალადევის რაიონში მდებარე 209-ე სკოლაშია შეჩერებული.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრ თამარ სანიკიძის ინფორმაციით, ძირითადი შეფერხება ელექტრომომარაგების პრობლემით იყო გამოწვეული. მისივე თქმით, სწავლა ორშაბათიდან განახლდება და სკოლები გაცდენილ საათებს, სემესტრის განმავლობაში შაბათის ხარჯზე აანაზღაურებენ.

უამინდობის გამო ავტოსატრანსპორტო მოძრაობაც შეიზღუდა. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ, გუშინ მთავრობის სხდომის დაწყებამდე, მძღოლებს, გადაუდებელი აუცილებლობის გარდა, ავტომობილით გადაადგილებისგან თავშეკავებისკენ მოუწოდა.

მისივე თქმით, გზის გაწმენდის სამუშაოები მთელი ღამის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა. თუმცა, აღმოსავლეთ რეგიონებში უხვი ნალექის მოსვლის გამო, ტექნიკის დიდი ნაწილი აღმოსავლეთით იყო მობილიზებული.

დღეს და ხვალ ოდნავ გამოიდარებს, თუმცა შემდგომ ისევ მოსალოდნელია ამინდის გაუარესება. ინტენსიურად იწმინდება გზები, იყრება მარილი და ქვიშა-ხრეში, თუმცა მძღოლებს მოვუწოდებთ, თუ აუცილებელი არ არის, გადაადგილებისგან თავი შეიკავონ ან შესაბამისი საბურავები გამოიყენონ. იქ, სადაც მოძრაობა მხოლოდ ჯაჭვებით არის დაშვებული, გამოიყენონ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვები. საპატრულო პოლიციასთან კოორდინაციით ვახერხებთ, რომ საცობები და სხვა არსებითი შეზღუდვები არ გვაქვს,“ - აღნიშნა ნარმანიამ.

ამასთან, ნარმანია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მიერ გაკეთებულ განცხადებასაც გამოეხმაურა. ოპოზიცია რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საპარლამენტო უმოქმედობაში ადანაშაულებს.

„ვერ დავეთანხმებით მათ კრიტიკას, რამდენადაც ჩვენ თოვლის გასაწმენდად ოცზე მეტი ახალი ტექნიკური საშუალება შევიძინეთ. ეს არის თანამდეროვე ტექნიკა, რომლის მეშვეობითაც თოვლი იწმინდება და, მოძველებულ ტექნიკასთან ერთად, უფრო აქტიურად გამოიყენება. დღეს გაცილებით მეტი ტრაქტორია დატვირთული, ვიდრე ეს წინა წლებში იყო და მეტსაც გეტყვით, ჩვენ ვთხოვეთ სხვა კერძო კომპანიებსაც, რომლებიც ასეთ სამუშაოებზე მუშაობდნენ, რომ ტექნიკით დაგვხმარებოდნენ,“ - განაცხადა დავით ნარმანიამ.

გუშინ, საღამოს, ინტენსიური თოვის გამო, თბილისის შემოსავლელი გზის (ზაჰესი-რუსთავი) მონაკვეთში მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალული იყო.

გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, თოვლისა და ლიპყინულის გამო მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის ჟინვალი-ლარსის მონაკვეთზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. გუდაური(ფოსტა)-კობის მონაკვეთზე კი ავტოტრანსპორტი ზვავდამცავი გვირაბების გავლით მოძრაობდა. აღნიშნული რეჟიმით მოძრაობას საპატრულო პოლიცია ზედამხედველობდა და კოორდინაციას უწევდა.

რაც შეეხება უამინდობის გამო ელექტრომომარაგების მხრივ შექმნილ პრობლემებს, გუშინ დაბა ბობოყვათის სოფელ დაგვაში ელექტროგადამცემ ხაზებზე დაზიანების ახალი კერები აღმოაჩინეს.

ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრი კახა კალაძე აჭარაში რჩება და დიდთოვლობისგან დაზიანებულ ელექტროგადამცემ ხაზებზე მიმდინარე სამუშაოებს პირადად ხელმძღვანელობს.

„დაბა ბობოყვათის სოფელ დაგვაში აღმოჩენილია დაზიანების ახალი კერები. მობილიზებულია „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ტექნიკური ბრიგადები, რომლებიც 24 საათის განმავლობაში უწყვეტად მუშაობენ,“ - განაცხადა კალაძემ.

ამასთან, სამინისტროს ინფორმაციით, სამუშაოებში კომპანია „საქრუსენერგო“ ჩაერთო, რათა ელექტროგადამცემი ხაზი დროულად აღდგეს და აჭარის რეგიონმა ელექტროენერგია სრულად მიიღოს.

რაც შეეხება დიდოვლობისგან რამდენიმე დღის წინ დაზიანებულ 220 კილოვოლტიან ელექტროგადამცემ ხაზ „პალისტომი 2“-ს, სამინისტროს ინფორმაციით, აღდგენითი სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრში აცხადებენ, რომ დღეს დასავლეთ საქართველოში ნალექია მოსალოდნელი. დასავლეთ საქართველოს ყველა და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში ნალექს 15 დეკემბერსაც ელოდებიან. 16 დეკემბერს კი ისევ გამოიდარებს.

ამასთან, სინოპტიკოსები 15 დეკემბერს თბილისში მცირედ თოვას ვარაუდობენ.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრ ხათუნა გოგალაძის ინფორმაციით, დღეიდან დასავლეთიდან ისევ მოსალოდნელია ცივი ჰაერის მასების შემოჭრა, რაც ნალექს გამოიწვევს; 16 დეკემბრიდან კი მოსალოდნელია გამოდარება, სულ მცირე, ერთი კვირის განმავლობაში, თუმცა დაბალი ტემპერატურა მთელი ქვეყნის მასშტაბით შენარჩუნდება.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "შვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

„ივანიშვილის პოლიტიკური მემკვიდრეობა“ პირველი მოსმენით

პირველი გვერდიდან

თუმცა ყველამ - ავტორებმაც, ხელისუფლებამ ზოგადად, მთავრობამ, კოალიციამ, პარლამენტმა უნდა ვაღიაროთ ერთი შეცდომა, ჩვენ გარკვეული პრობლემა გვქონდა კომუნიკაციაში. მეტი დრო უნდა დავუთმოთ, როგორც ერთმანეთთან საუბარს, ისე საზოგადოებასთან ურთიერთობას. ამიტომ მოდით, ახლა მაინც გავითვალისწინოთ. პირველი მოსმენიდან შემდგომ, მის საბოლოოდ მიღებამდე საკმარისი დროა, საკმარისად შეგვიძლია, ვიმსჯელოთ. შემდგომში მეტი დრო დავხარჯოთ კომუნიკაციაში და ყველაფერი დანარჩენი კარგად იქნება,“ - თქვა უსუფაშვილმა.

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის გია ჟორჟოლიანის შეფასებით, ეს ფუნდამენტური რეფორმაა, რომელიც თითოეულ მოქალაქეს, ქვეყნის მართვის წესს ეხება და ქვეყანაში რეალური დემოკრატიის დამკვიდრებას განაპირობებს.

ჟორჟოლიანმა კომიტეტის სახელით წარადგინა წინადადება, რომელიც საკომიტეტო მოსმენების დროს მთავრობასთან შეთანხმებით შეიმუშავეს. ჟორჟოლიანის შეფასებით, საზოგადოებრივი თვითმმართველობის თემა, რომელიც სოფლებში და ქალაქებში საზოგადოებრივი და საუბნო საბჭოების შექმნას ითვალისწინებდა, ამ ეტაპზე ვერ პასუხობს იმ საჭიროებას, რაც მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობისთვისაა აუცილებელი. შესაბამისად, ჟორჟოლიანის თქმით, ცალკე კანონი მომზადდება, რომელიც პარლამენტს 2015 წლის პირველ იანვრამდე წარედგინება.

ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების“ თავმჯდომარე დავით ბერძენიშვილის შეფასებით, თვითმმართველობის რეფორმა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური მემკვიდრეობაა. ბერძენიშვილის თქმით, ბიძინა ივანიშვილი წარმოდგენილი პროექტის ჩამოყალიბებას უშუალოდ ხელმძღვანელობდა. **„ბიძინა ივანიშვილი ჯერ კიდევ საარჩევნო პროგრამის მომზადებისას ამ თემების შესახებ კოალიციის პოზიციის ჩამოყალიბებაზე მუშაობდა, შემდეგ პრემიერ-მინისტრობის დროს მთავრობამ პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივა ივანიშვილის ხელმოწერით შეიტანა,“** - ამბობს დავით ბერძენიშვილი.

კანონპროექტის მომხსენებელმა, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ თენგიზ შერგელაშვილმა პროექტში ასახულ იმ დებულებებზე გაამახვილა ყურადღება, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსური უზრუნველყოფისა და ფინანსური ავტონომიის გამყარების პრინციპებს ეხება.

შერგელაშვილის თქმით, მოქმედი კანონმდებლობა ფინანსური რესურსის ცენტრალური ხელისუფლების ხელში თავმოყრას და შემდგომ თვითმმართველობებზე გადანაწილებას ითვალისწინებს. როგორც შერგელაშვილი ამბობს, ამ კუთხით ცვლილება თვითმმართველობების ფინანსური დამოუკიდებლობის ხარისხს მნიშვნელოვნად აამაღლებს.

პროექტი ასევე ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის, ეკონომიკური საქმიანობის, სახელმწიფოზე ზედამხედველობის, აუდიტისა და პირდაპირ სახელმწიფო მმართველობის, მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანებების საკითხებში მოქალაქეთა ჩართულობას.

პარლამენტმა თვითმმართველობის კოდექსის პროექტი პირველი მოსმენით მიიღო.

საკუთარი ინფორმაცია

გუბერნატორებად შსს-ს კადრები ინიშნებიან

პირველი გვერდიდან

ხოლო, შემდეგ პრობლემების გადაჭრის გზებზე დაიწყება მუშაობა.

იმერეთის ახალი გუბერნატორი ზაზა მეფარიშვილი შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა.

სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი აკაკი მაჭუტაძე 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს ხელმძღვანელობდა.

ქვემო ქართლის გუბერნატორი გიორგი მღებრიშვილი 2013 წლის ივლისიდან შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე იყო.

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია რეგიონში შსს-ს სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან გადმოიყვანეს.

შიდა ქართლის გუბერნატორად დანიშვნამდე ზურაბ რუსიშვილი „ქართუ ბანკის“ ცენტრალური სერვისცენტრის მენეჯერი იყო.

მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი ნუგზარ ყიფიანი 2000-იანი წლების დასაწყისში, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი „მეცხრე არხის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსი იყო.

გურიის ახალი გუბერნატორი გიორგი ჩხაიძე პროფესიით ეკონომისტია, ბოლო წლებში კი ბიზნესსაქმიანობას ეწეოდა.

რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში გუბერნატორად პარმენ (პაპუნა) მარგველიძე დანიშნეს. ირაკლი ღარიბაშვილის დახასიათებით, იგი ფინანსების და საბანკო საქმის კარგი მცოდნე, მაღალი კვალიფიკაციის მენეჯერია.

კახეთის გუბერნატორად დედოფლისწყაროს გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი დაინიშნა.

გუბერნატორების წარდგენის შემდეგ სპეციალური პრეს-კონფერენცია გამართა საპარლამენტო უმცირესობის წევრმა ირმა ნადირაშვილმა. მისი შეფასებით, თანამდებობაზე მოხვედრის ერთადერთი შანსია, რომ ვინმეს ოჯახის ახლობელი ან ნათესავი იყო. **„საქართველოს პრემიერ-მინისტრმა 9 ახალი გუბერნატორი წარმოადგინა. ერთი შეხედვითაც კი ნათელია, რომ ამ ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა ან კლანური ნიშნით შეირჩა - ვინ ვისი ნათესავი, მეგობარი თუ ახლობელია, ან პირადი ერთგულების ნიშნით - ანუ უშიშროებიდან კადრები წამოყვანეს,“** - აღნიშნავს ნადირაშვილი და განაგრძობს, - **„ტრადიცია, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაამკვიდრა, გრძელდება, რაც ქვეყანას კარგ შედეგამდე არ მიიყვანს.“**

სოციალურ ქსელში მსჯელობის თემაა კახეთის ამჟამინდელი გუბერნატორის ის განცხადებები, რომლებიც მან გამგებლის თანამდებობაზე ყოფნისას გააკეთა და რელიგიური შეუწყნარებლობით გამოირჩევა.

საქმე ის არის, რომ მას შემდეგ, რაც მუსლიმთა სამმართველომ სოფელ სამთაწყაროში სამლოცველო სახლის გახსნა გადაწყვიტა, სოფელში პარასკევის ტრადიციული ლოცვა არაერთხელ ჩაიშალა. 31 მაისს ქვემო ქართლის მუფთი ჯემალ ადაძე და მისი თანმხლები პირები სამთაწყაროში პარასკევის ლოცვის შესასრულებლად მიდიოდნენ, თუმცა ისინი სოფელში არ შეუშვეს. ამ ფაქტს მაშინ ირაკლი შიოლაშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელის რაგნში გამოეხმაურა: **„დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. სოფელმა თავის ნება გამოხატა, სოფლის ნება ადგილობრივი თვითმმართველობისთვის უზენაესია და ხალხს რაც უნდა, ისე იქნება და ხალხის ნება არის ის, რომ სამლოცველო სახლი არ გაკეთდეს. დაახლოებით, ერთი კვირის განმავლობაში მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლები ამ სოფელში დადიან და ცდილობენ, სოფლის მშვიდ ცხოვრებაში შეიტანონ გარკვეული წერტილები, მაგრამ სოფელმა ამ სამი-ოთხი დღის განმავლობაში ცალსახად უთხრა, რომ აქ მეჩეთის გაკეთების სურვილი არავის აქვს. მაგრამ, ამ ადამიანებმა მაინც მოისურვეს, ჩასულიყვნენ და ხელოვნურად მოეხდინათ სიტუაციის პროვოცირება. მე ვეთანხმები ხალხის აზრს და ხალხის აზრი ჩემთვის უზენაესია.“** როგორც ირაკლი შიოლაშვილი აღნიშნა, მისთვის მოსახლეობის ნება კანონზე მაღლა დგას.

საკუთარი ინფორმაცია

13.8 მილიონი ლარი ციტრუსის სუბსიდირებისთვის

პირველი გვერდიდან

უამინდობის გამო შექმნილი გართულებების შესახებ საუბრობს განათლების და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე. მისი თქმით, ძირითადი შეფერხება ელექტრომომარაგების მიწოდების პრობლემით იყო გამოწვეული. როგორც თამარ სანიკიძემ აღნიშნა, სასწავლო პროცესი სკოლებში ორშაბათს განახლდება და სკოლები გაცდენილ დღეებს, სემესტრის განმავლობაში, შაბათის ხარჯზე აანაზღაურებენ.

ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა საქართველოში ახალი სამშენებლო სტანდარტების ჩამოყალიბების შესახებ ისაუბრა და წინაპირობებზე გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, იგეგმება ახალი სამშენებლო კოდექსის მიღება, რომელზეც მუშაობა უკვე დაწყებულია. **„მთავრობის დღევანდელ სხდომაზე პრემიერი მშენებლობის ხარისხის საკითხით დაინტერესდა და საუბარი გვქონდა, თუ როგორ უნდა გადავიდეთ ხარისხიან მშენებლობაზე. თუმცა, ჩვენს ინდუსტრიას და სამშენებლო სფეროს ამისთვის მომზადება სჭირდება. მათ უნდა ჰქონდეთ გარკვეული პერიოდი, რათა ახალ სტანდარტებზე გადასვლა მოახერხონ. მინდა, გითხრათ, რომ ეს საკითხი ახალ სამშენებლო კოდექსში ჩაიდება, რომლის საფუძველზეც საქართველოში ახალი სამშენებლო სტანდარტები იქნება,“** - ამბობს გიორგი კვირიკაშვილი.

ეკონომიკის მინისტრის თქმით, დღეს სამშენებლო ობიექტები რამდენიმე კლასად არის დაყოფილი. **„ეკონომიკის სამინისტრო განსაკუთრებული რისკის შემცველი მშენებლობის ხარისხს აკონტროლებს. დანარჩენი ობიექტების კონტროლი კი მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაშია. ამ მიმართულებით ხარისხის კონტროლის გაძლიერებაა საჭირო. ეს გრძელვადიანი პროცესია,“** - ამბობს კვირიკაშვილი.

საკუთარი ინფორმაცია

აჭარის მთავრობის სახლთან ახალგაზრდებმა კოცონი დაანთეს

აჭარის მთავრობის სახლში მიმდინარე მთავრობის გაფართოებული სხდომის პარალელურად, მთავრობის სახლის მიმდებარედ ახალგაზრდებმა კოცონი დაანთეს.

როგორც მათ განაცხადეს, სურთ, ჰქონდეთ ინფორმაცია, როდის აღდგება ელექტროენერგიის მიწოდება რეგიონისთვის.

„ჩვენი წინაპრები ადრე ცეცხლით თბებოდნენ და ცეცხლი ანათებდა ოთახებს, ჩვენც ასე მოვიქეცით. გვინდა, გავთბეთ და სინათლეც გვქონდეს,“ - აღნიშნა გიორგი დიასამიძემ.

საპროტესტო აქციას «ნაციონალური მოძრაობის» წარმომადგენლებიც შეუერთდნენ.

აჭარის მთავრობის სახლში მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე რეგიონში შექმნილი პრობლემები განიხილეს.

პარლამენტი შსს-სა და პროკურატურას 2004-2012 წლებში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების რეკომენდაციით მიმართავს

ეკა ბესელიას განცხადებით, პარლამენტს მოქალაქეებმა, 20 ათასზე მეტი ხელმოწერით, პეტიციით მიმართეს, რათა 2004-2012 წლებში საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები შესწავლილი ყოფილიყო და პარლამენტს შესაბამისი სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება მიეცა.

„ჩვენ რამდენიმე თვის განმავლობაში ვსწავლობდით საერთაშორისო ოფიციალური სტრუქტურების ანგარიშებს კონკრეტულ დარღვევების შესახებ. დასკვნაში, რომელიც პარლამენტის ბიურომ დღეს უცვლელად დატოვა და მიიღო, 2004-2012 წლებში ადამიანის უფლებების სისტემური დარღვევების შეფასებაა,“ - განაცხადა ეკა ბესელიამ.

მისი თქმით, დადგინდა, რომ ამ წლებში სისტემური ხასიათი ჰქონდა ძირითად და ფუნდამენტურ კონსტიტუციური უფლებების დარღვევებს, მათ შორის, როგორიც არის სიცოცხლის უფლების ხელყოფა, არაადამიანური და დამამცირებელი წამების აკრძალვა, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და თავისუფლების უფლება, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება, შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ქონების და კერძო საკუთრების უფლების ხელყოფა.

„დადგინდა, რომ შესაბამისმა უწყებებმა, როგორც არის შინაგან საქმეთა სამინისტრო და მთავარი პროკურატურა, რომელსაც პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება გაეგზავნა, იმსჯელოს ამ დარღვევების შესახებ, რომლებიც 24-გვერდიან დასკვნაშია მითითებული და ამ წლებში განხორციელებულ ყველა მნიშვნელოვან დანაშაულებრივ ქმედებას ეხება და გამოიძიოს ამ წლებში მომხდარი ყველა გახმაურებული ფაქტი,“ - აღნიშნა ეკა ბესელიამ.

პარლამენტში ოთხი ყოფილი მოსამართლისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა უკანონოდ მიიჩნიეს

პარლამენტში საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოთხი ყოფილი მოსამართლისთვის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტა უკანონოდ მიიჩნიეს.

საუბარია უზენაესი სასამართლოს ყოფილ წევრებზე მერაბ ტურავაზე, ნინო გვენეტაძეზე, თამარ ლალიაშვილსა და მურმან ისაევზე.

ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას განცხადებით, ამ ადამიანებისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხზე გადაწყვეტილება კომიტეტმა პრაქტიკულად 11-თვიანი მუშაობის შემდეგ მიიღო.

„ამ კონკრეტულ შემთხვევას ვენეციის კომისიის დასკვნა ახლდა თან. სწორედ საერთაშორისო ექსპერტების დასკვნებზე დაყრდნობით დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა ამ მოსამართლეების პოლიტიკური ნიშნით დათხოვნას და საბაბად გამოყენებული იყო სამართლის ნორმის ინტერპრეტაციის საკითხი, რომელიც მხოლოდ საბაბი იყო ამ მოსამართლეებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტისთვის,“ - აღნიშნა ბესელიამ.

მისივე თქმით, პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, აღნიშნული დასკვნა იუსტიციის საბჭოს ეგზავნება, რომელმაც ამ დასკვნის მიღების შემდეგ უნდა იმსჯელოს და გადახედოს თვის გადაწყვეტილებას.

გაერო: სირიაში ქიმიური იარაღი რამდენჯერმე გამოიყენეს

ხუთშაბათს გაეროს ახალი მოხსენება გამოქვეყნდა, რომელშიც ნათქვამია, რომ სირიაში ქიმიური იარაღი 2011 წლის მარტიდან მოყოლებული ხუთჯერ გამოიყენეს. გაეროს გამომძიებლების ცნობით, მომაკვდინებელი ნერვული გაზი ზარინი ოთხჯერ გაუშვეს. მოხსენების თანახმად, სხვადასხვა შემთხვევებში ქიმიურ თავდასხმას სამოქალაქო პირები და სამხედროები ემსხვერპლნენ, რის გამოც რთული დასადგენია, თუ რომელი მხრიდან განხორციელდა ეს თავდასხმები. „გაეროს მისია ადასტურებს, რომ სირიის რესპუბლიკაში დაპირისპირებულმა მხარეებმა ქიმიური იარაღი გამოიყენეს," - განაცხადა გაეროს გამომძიებელმა ეიკ სელსტრომმა. გამოძიების თანახმად, ქიმიური იარაღის გამოყენებულია მარტში ხან ალ-ასალში; აპრილში - სარექებში; აგვისტოში - დამასკოსთან ახლოს ჯობარსა და აშრაფიათ საჰნაიში. ამ გამოძიების მიზანი იყო იმის დადგენა, გამოიყენეს თუ არა სირიაში ქიმიური იარაღი და არ ითვალისწინებდა იმის განსზღვრას, თუ ვინ იდგა აღნიშნულის უკან.

„ქიმიური იარაღის გამოყენება საერთაშორისო სამართლის სერიოზული დარღვევა და კაცობრიობის შეურაცხყოფაა. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ეს საშინელი იარაღი არა მხოლოდ სირიაში, არამედ ყველგან განადგურდეს," - აღნიშნა გაეროს გერენალურმა მდივანმა ბან კი მუნმა ამ მოხსენების გაცნობის შემდეგ.

2013 წლის აგვისტოში დამასკოსთან ახლოს ქიმიური იარაღის გამოყენებას 1400 ადამიანზე მეტი ემსხვერპლა, რაშიც ოპოზიცია და მთავრობა ერთმანეთს ადანაშაულებენ. ამის შემდეგ სირიის პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი ქვეყანაში არსებული ქიმიური იარაღის განადგურებას დათანხმდა და ქვეყანა ქიმიური იარაღის აკრძალვის კონვენციასაც მიუერთდა. ამ საკითხზე გაეროს უშიშროების საბჭომ სპეციალური რეზოლუციაც მიიღო, რომლის თანახმად, 2014 წლის შუა პერიოდისთვის სირიის ქიმიური იარაღი მთლიანად უნდა განადგურდეს. ამ პროცესის განადგურების მეთვალყურეობა ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას დაევალა.

ჩრდილოეთ კორეის ლიდერის ბიძა სიკვდილით დასაჯეს

ჩრდილოეთ კორეაში სიკვდილით დასაჯეს ჩან სონ ტხეკი, რომელიც ქვეყნის ლიდერ კიმ ჩენ ინის ბიძაა (მამიდის ქმარი). აღნიშნულის შესახებ ქვეყნის ცენტრალურმა სატელეგრაფო სააგენტომ განაცხადა. გავრცელებული ინფორმაციით, იგი ხუთშაბათს სამხედრო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის შემდეგ დასაჯეს სიკვდილით. სააგენტოს ცნობით, ჩან სონ ტხეკმა ხელისუფლების დაუფლების მიზნით სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობა აღიარა. მის წინააღმდეგ ასევე კორუფციის, ნარკოტიკების მოხმარების და სხვა ბრალდებები იყო წაყენებული. ცოტა ხნის წინ იგი სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. დეკემბრის დასაწყისში კი მისი თანაშემწე დასაჯეს სიკვდილით. სახელმწიფო ტელეარხებმა პროპაგანდისტური დოკუმენტური ფილმებიდან ყველა კადრი ამოიღეს, სადაც ჩან სონ ტხეკი ჩანდა. 67 წლის ჩან სონ ტხეკი კიმ ჩენ ინთან დაახლოებული პირი და ჩრდილოეთ კორეაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურა იყო. სწორედ ის იყო ქვეყნის ახალგაზრდა ლიდერის მთავარი მრჩეველიც და რუხი კარდინალიც კომუნისტური კორეისთვის.

ამერიკის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მათ ამ ინფორმაციის დადასტურება არ შეუძლიათ, თუცა დაეჭვების მიზეზსაც ვერ ხედავენ: „თუ ეს ინფორმაცია დადასტურდება, ეს ჩრდილოეთ კორეისგან მორიგი სასტიკი ქმედების მაგალითი იქნება. ჩვენ თვალს ვადევნებთ ამ ქვეყანაში არსებულ ვითარებას," - საუბარია თეთრი სახლის განცხადებაში.

სამხრეთ კორეის პრეზიდენტ პაკ კი ხეს განცხადებით, ფხენიანი კიმ ჩენ ინის ხელისუფლებას ტერორის გზით აძლიერებს. კიმ ჩენ ინი ქვეყნის ლიდერი 2011 წელს გახდა, მას შემდეგ, რაც მამამისი კიმ ჩენ ირი გარდაიცვალა. მაშინ აღნიშნავდნენ, რომ 27 თუ 30 წლის ლიდერი შესაძლოა, სხვა ძლიერი ფიგურების მარიონეტად ქცეულიყო. ერთ-ერთ ასეთ გავლენიან ფიგურად სწორედ ჩან სონ ტხეკი სახელდებოდა. „ბი-ბი-სი"-ს ცნობით, დასავლელი ჟურნალისტები ადრე ჩან სონ ტხეკს კიმ ირ სენის მემკვიდრედაც ასახელებდნენ.

რუსეთს ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლაზე მოლაპარაკებების დაწყება სურს

მოსკოვი მზად არის, ევროკავშირთან სავიზო ფორმალობების გამარტივების შესახებ შეთანხმებას მოაწეროს ხელი. კრემლს ასევე სურს, მალე დაიწყოს მოლაპარაკებები უვიზო რეჟიმის შეთანხმების საკითხზე. აღნიშნული შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსეი მეშკოვმა განაცხადა. ვიზების თემაზე დიპლომატმა ათენში, ევროკავშირში საბერძნეთის მომავალ ხელმძღვანელობასთან ისაუბრა: „იმედი გვაქვს, რომ საბერძნეთის ხელმძღვანელობის პერიოდში ეს პროცესი ადგილიდან დაიძვრება. უვიზო რეჟიმზე გადასვლა ყველა ქვეყნის ინტერესია, პირველი რიგში კი ისეთი ქვეყნისა, როგორიც საბერძნეთია, ვინაიდან რუსი ტურისტების უმრავლესობა სწორედ ამ ქვეყანაში მიემგზავრება. ჩვენ სერიოზული მოლაპარაკებების დაწყებას და შეთანხმების რაც შეიძლება სწარაფად დადებას ვუჭერთ მხარს. ბურთი ევროკავშირის მხარეს არის და ამ ორგანიზიაციამ უნდა განსაზღვროს, როდის დაიწყებს ჩვენთან მოლაპარაკებებს," - აღნიშნა მეშკოვმა.

ფილიპინებზე ტაიფუნ „ჰაიანის" მსხვერპლის რაოდენობამ 6000 ადამიანს გადააჭარბა

ფილიპინების ისტორიაში ყველაზე დამანგრეველ ტაიფუნ „ჰაიანს", არსებული მონაცემებით, 6000-დან 9000-მდე ადამიანი შეეწირა. ამ დროისთვის უგზო-უკვლოდ დაკარგულად 1800 ადამიანი მიიჩნევა. ხელისუფლების განცხადებით, სტიქიისგან დანგრეული შენობების აღდგენას სამი წელი დასჭირდება. ძლიერი ტაიფუნი ქვეყანას ნოემბრის დასაწყისში დაატყდა თავს.

მოამზადა თამთა კახაძემ

უკრაინაში მრგვალი მაგიდა „სიტყვიერი შედეგით" დამთავრდა

ივა შილაკაძე

გუშინ კიევში საერთო-სახალხო მრგვალი მაგიდა გაიმართა, რომელშიც მოქმედი და ყოფილი პრეზიდენტები, ოპოზიციის ლიდერები, სამღვდელოება, ასევე პრემიერი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. რეალურ შედეგზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, თუმცა ეს მაინც შეიძლება, გარკვეული თვალსაზრისით, წინგადადგმულ ნაბიჯად მივიჩნიოთ. პარალელურად, უკრაინის დელეგაცია ევროკავშირთან ბრიუსელში მოლაპარაკებებს აწარმოებს და ასოცირების ხელშეკრულების „მალე ხელმოწერის" პირობას იძლევა.

მრგვალი მაგიდის ჩატარება მოქმედ პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩს მისმა წინამორბედებმა სამშაბათის შეხვედრაზე შესთავაზეს. საბოლოოდ, შეხვედრა პარასკევისთვის დაინიშნა, თუმცა მასში ოპოზიციის ლიდერების მონაწილეობა ბოლო წუთამდე კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. წინა სტატიებში ჩვენ უკვე ვწერდით, რომ ხელისუფლებასთან დიალოგის დაწყებამდე ოპოზიცია მოითხოვდა აქციებზე დაკავებული აქტივისტების გაშვებას, 30 ნოემბრის დარბევის გამო შინაგან საქმეთა მინისტრ ვიტალი ზახარჩენკოს თანამდებობიდან გათავისუფლებას და პოლიციის სპეცრაზმების ყაზარმებში დაბრუნებას. ეს პირობები შესრულებული არ იყო, გარდა იმისა, რომ დაკავებული აქტივისტების ნაწილი ბოლო დღეებში გაათავისუფლეს.

საბოლოოდ, დამოუკიდებლობის მოედანზე მიმდინარე მიტინგზე კენჭისყრა ჩატარდა და ოპოზიციური საპარლამენტო ფრაქციების ლიდერებს: არსენი იაცენიუკს („ბატკივშჩინა"), ვიტალი კლიჩკოს („უდარი") და ოლეგ ტიაგნიბოკს („თავისუფლება") ხალხმა მოლაპარაკებებზე წასვლის უფლება მისცა. ოპოზიციის ლიდერებმა მანიფესტანტებს აღუთქვეს, რომ ხალხის მოთხოვნებს პრეზიდენტ იანუკოვიჩს პირადად წარუდგენდნენ და მოგვიანებით შეხვედრის შედეგებსაც გააცნობდნენ.

პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა, ჯერ კიდევ მრგვალი მაგიდის დაწყებამდე, სტუდენტებთან შეხვედრისას რამდენიმე მინიშნება გააკეთა და მათ შორის იყო ბოლო კვირებში დაკავებული აქტივისტების ამნისტიის ინიციატივა. მან ეს აზრი უკვე მრგვალი მაგიდის დროს განავრცო.

იანუკოვიჩმა რამდენიმე წინადადება წამოაყენა, რომელთა განხორციელების შემთხვევაშიც შეიძლება, იმედი ვიქონიოთ, რომ მხარეებს შორის უფრო სერიოზული დიალოგი დაიწყება და შეიძლება, კომრომისიც მოიძებნოს. მთავარი ისევ აქტივისტების ამნისტიაა. იანუკოვიჩი გულისხმობს ყველას, ვინც ჯერ კიდევ დაკავებული ჰყავთ და ვინც უკვე გასამართლეს და რაღაც სასჯელი შეუფარდეს - ძირითადად, ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით. პრეზიდენტმა თქვა, რომ დამნაშავეები უნდა დაისაჯონ, ხოლო შეხლა-შემოხლაში შემთხვევით მოხვედრილ ხალხს ვაპატიოთ და დაპირისპირების ეს „ფურცელი გადავშალოთ". ამ პირების ამნისტიას კი, იანუკოვიჩის თქმით, რადამ მომავალ კვირაში უნდა უყაროს კენჭი.

30 ნოემბრის დარბევაში დამნაშავეებზე საუბრისას ცხადი გახდა, რომ იანუკოვიჩი დამნაშავეებად რამდენიმე ადამიანს მიიჩნევს ძალოვანებიდან, თუმცა ისიც თქვა, რომ აქციის მონაწილეებს შორის პროვოკატორებიც იყვნენ, რომელთაც ასევე უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა. მოქმედი პრეზიდენტის სიტყვებით, დარბევაში დამნაშავეა, სავარაუდოდ, სამი პირი, რომლებიც იმ ღამეს დამოუკიდებლობის მოედნის გარშემო იმყოფებოდნენ. მან თქვა, რომ პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიების ბოლო მონაცემებით, ამ ადამიანების ბრალეულობა იკვეთება, თუმცა მათი ვინაობა არ დაუსახელებია. უფრო მეტიც, იანუკოვიჩის თქმით, ეს ინფორმაცია მოგვიანებით მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოქვეყნდება, თუ შესაბამისი ორგანოები მას სახელმწიფო ინტერესებისთვის საფრთხედ არ მიიჩნევენ.

პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა ოპოზიციას მოლაპარაკებების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში ძალისმიერ აქციებზე მორატორიუმის გამოცხადებაც შესთავაზა. მან თქვა, რომ ხელისუფლებამ ასეთი გადაწყვეტილება უკვე მიიღო და მათი მხრიდან პრობლემა არ იქნება. უბრალოდ, მან ამისკენ მოუწოდა აქციის მონაწილეებს. იანუკოვიჩმა ისიც გაშიფრა, თუ რას გულისხმობს. მან თქვა, რომ ბოლო დღეებში ინტერნეტშიც ბევრი რამ წაიკითხა და ისმის მოწოდებები შეიარაღებისა და ხელისუფლების დამხობისკენ. მან აღიარა, რომ ეს ემოციური განცხადებებია, თუმცა მაინც ყველას მოუწოდა, მსგავს პროვოკაციებს ნუ აჰყვებიან. ზოგადად კი ყველა ქალაქში ქუჩაში გამოსულ ადამიანებს ურჩია, სახლებში დაბრუნდნენ და პოლიტიკოსებს საქმის კეთების საშუალება მისცენ. იანუკოვიჩის აზრით, ყველაფერი დიალოგის გზით უნდა გადაწყდეს.

პრეზიდენტმა გუშინ ისიც თქვა, რომ ევროკავშირთან მომზადებულ ხელშეკრულებებში უკრიანის ინტერესები არასათანადოდ იყო გათვალისწინებული და ამის გამოსწორებას ახლა ბრიუსელში გაგზავნილი დელეგაცია ცდილობს. იმ ჩინოვნიკებს კი, რომლებმაც წინა ნლებში მოლაპარაკებების დროს ეს „ლაფსუსები" დაუშვეს, თანამდებობებიდან გათავისუფლება „უწინასწარმეტყველა." მან კვლავ გაიმეორა, რომ უკრაინა ევროინტეგრაციაზე უარს არ ამბობს და რიგი საკითხების მოგვარების შემდეგ ხელშეკრულებებს ხელი მოეწერება.

ოპოზიციის ლიდერები, რომლებიც პირობისამებრ აქციაზე დაბრუნდნენ, ერთხმად აცხადებენ, რომ მრგვალ მაგიდაზე ხელისუფლებას ახალი არაფერი უთქვამს და პრეზიდენტის დაპირებების არ სჯერათ. იაცენიუკმა თქვა, რომ პარასკევს ხელისუფლებას არანაირი გადაწყვეტილება არ მიუღია და ჯერ არც ერთი მოთხოვნა არ შეუსრულებია. პირობა მიიღეს, მაგრამ ხელისუფლების კონკრეტულ ნაბიჯებს დაელოდებიან. რაც შეეხება ძალის გამოუყენებლობას, ეს ოპოზიციამ დათმობად ვერც აღიქვა. მათ განაცხადეს, რომ თავისთავად ასეც უნდა მომხდარიყო. ტიაგნიბოკის სიტყვებით, მათთვის იანუკოვიჩს არც მთავრობის გადაყენების პირობა მიუცია. ხელისუფლების მიცემული სიტყვის შესრულების პირველი ნიშანი კი ალბათ „ბერკუტის" ყაზარმებში დაბრუნება უნდა გახდეს.

პრემიერი აზაროვი კი შეიძლება, მაინც გადადგეს, თუმცა ჯერ ეს მხოლოდ მის მიერ მრგვალი მაგიდის დროს იაცენიუკთან კამათში „წამოსროლილი" (თუ „ამოგლეჯილი") სიტყვებია. ნიკოლაი აზაროვმა იაცენიუკის პოლიტიკურ ძალას დააკისრა პასუხისმგებლობა გაზში დამატებით 20 მილიარდის გადახდისა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან უკრაინისთვის წამგებიანი ხელშეკრულების გაფორმებისთვის (არსენი იაცენიუკი ტიმოშენკოს პარტიის წევრი არ ყოფილა ამ უკანასკნელის პრემიერობის დროს. ის ოპოზიციაში იყო. მისი „ცვლილებების ფრონტი" და ექს-პრემიერის „ბატკივშჩინა" ტიმოშენკოს გასამართლების შემდეგ გაერთიანდნენ. შესაბამისად პირადად არსენი იაცენიუკს ხელისუფლება ვერანაირ პასუხისმგებლობას, მათ შორის ვერც მორალურს, ვერ დააკისრებს). იაცენიუკმა უპასუხა, რომ დეტალური დისკუსიისთვის მზად არის, თუმცა მიაჩნია, რომ კრიზისში ლომის წილი სწორედ მოქმედ მთავრობას მიუძღვის. „თქვენ სავარძელს ეპოტინებით, ნაცვლად იმისა, რომ მოხვიდეთ პარლამენტში, დაწეროთ განცხადება გადადგომის შესახებ და აიღოთ პასუხისმგებლობა," - უთხრა იაცენიუკმა. აზაროვმა კი უპასუხა: „რაც შეეხება თანამდებობას... მე მაქვს ჩემი გამბედაობა, მივიღებ გადაწყვეტილებას, შენც იქონიე გამბედაობა და აიღე პასუხისმგებლობა".

ისრაელმა ბედუინების გადასახლების გეგმა უარყო

ისრაელში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ათობით ათასი ბედუინის - ქვეყნის სამხრეთში მცხოვრები მოქალაქეების - გადასახლების მასშტაბური გეგმა გაუქმდა. ამ ნაბიჯის მიზეზი მრავალრიცხოვანი საპროტესტო აქციები გახდა, რომლებმაც ლამის მთელი ქვეყანა მოიცვა. გეგმას მოწინააღმდეგეები მმართველ კოალიციაშიც გამოუჩნდნენ.

დღეს ისრაელში 250 ათასზე მეტი ბედუინი ცხოვრობს - ეს ქვეყნის მთელი მოსახლეობის 3 პროცენტზე ოდნავ მეტია. მათი უმრავლესობა მომთაბარე ცხოვრებას ეწევა და მესაქონლეობით არის დაკავებული. ამასთან, ბევრმა ბედუინმა ნეგევის უდაბნოში მიწები უკანონოდ დაიკავა, შესაბამისი ნებართვების მიღების გარეშე. ბედუინებსაც საკუთარი არგუმენტი აქვთ: მათი წინაპრები ნეგევის უდაბნოში ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე დიდი ხნით ადრე ცხოვრობდნენ.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, იერუსალიმში ამ პრობლემას მკაცრად არ ეკიდებოდნენ. არსებობდა სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ბედუინებს ტრადიციული მომთაბარე ცხოვრების მიტოვებაში ეხმარებოდა, თუმცა ეს უკანასკნელები მაინც იქ სახლდებოდნენ, სადაც უნდოდათ და როგორც უნდოდათ. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მთავრობა მიწების მიტაცების პრაქტიკის შესაწყვეტად ღია დაპირისპირებაზე არ მიდიოდა.

რამდენიმე წლის წინ სიტუაცია საფუძვლიანად შეიცვალა. ისრაელმა ქვეყნის სამხრეთი რაიონების განვითარების გეგმა მიიღო, რომელიც მოიცავს სამხრეთში მსხვილი სამხედრო ბაზების გადატანას, ახალი გზების და დასახლებების მშენებლობას, როგორც ბედუინებისთვის, ასევე ებრაელებისთვის. თუმცა მისი რეალიზაცია შეუძლებელი გახდა. ამ ინფრასტრუქტურას წინ ეღობებოდა ბედუინების აქა-იქ აღმოცენებული დასახლებები, ზოგი დროებითი. ბედუინები აცხადებდნენ, რომ ეს მიწები მათ ეკუთვნით. რამდენჯერმე საქმე ძალადობამდე მივიდა და საქმეში პოლიციის ჩარევა გახდა საჭირო.

საბოლოოდ შეიქმნა სპეციალური სამთავრობო კომისია მინისტრ ბენი ბეგინის ხელმძღვანელობით. მისი მიზანი იყო თვით ცნების - „ბედუინების არალეგალური დასახლება" - გაუქმება. გეგმის მიხედვით, დასახლებების ნაწილი მთლიანად უნდა დაეკანონებინათ, მიწის საკუთრებაში გადაცემის ჩათვლით. იმ ადამიანებს კი, რომლებსაც მიწა არ აქვთ, ბედუინების უკვე არსებულ დასახლებებში გადასახლება ელოდათ. გეგმა მალე კანონპროექტად იქცა და ის ამ ზაფხულში კნესეტმა პირველი მოსმენითაც მიიღო.

ამას ბედუინების გააქტიურება მოჰყვა. მათ საპროტესტო დემონსტრაციები დაიწყეს და უმაღლეს სასამართლოში სარჩელებიც შეიტანეს. ისინი აცხადებენ, რომ ხელისუფლებას ბედუინების პრობლემის საფუძვლიანად მოგვარება არ სურს და მათ მხოლოდ გადასახლებით ემუქრება. ბედუინებს მხარი დაუჭირა კნესეტის არაბმა დეპუტატმა, სკანდალურად ცნობილმა ჰანინ ზუაბიმ. ეს ის ქალბატონია, რომელიც 2010 წლის 31 მაისს ღაზას სექტორის „ბლოკადის გასარღვევად" მიმავალ თურქულ ფლოტილიაში მონაწილეობდა. მასაც არგუმენტად ისტორია მოჰყავს და ნეთანიაჰუსა და მის მემარჯვენე ბანაკს ბედუინების საკუთარი სახლებიდან გასახლების მცდელობაში სდებს ბრალს. ჰანინ ზუაბის და მის კოლეგა არაბ დეპუტატებს იმის აღიარება არ სურთ, რომ ბედუინების მიერ მიწების უკანონოდ მითვისების პრობლემა მართლა არსებობს.

მმართველი კოალიციის წარმომადგენლები, მაგალითად, საშინაო საქმეების კომიისიის თავმჯდომარე, თადარიგის გენერალი მირი რეგევი აცხადებს: „ბედუინებმა უნდა იცოდნენ, რომ ისრაელის სახელმწიფოში კანონი არსებობს და ისინი, როგორც ისრაელის მოქალაქეები, ამ კანონს უნდა დაემორჩილონ." ნოემბერში ქალბატონი მირი რეგევი, კოლეგა პარლამენტარებთან ერთად, შეეცადა, სიტუაცია ადგილზე გაერკვია და ბედუინებს შეხვედროდა, მაგრამ დიალოგი არ გამოვიდა. დეპუტატებს გაღიზიანებული ადამიანების საპროტესტო აქცია დახვდათ, საქმეში პოლიცია ჩაერია და ზოგს სამედიცინო დახმარებაც დასჭირდა.

ბედუინების გარდა, ეს კანონი მმართველ კოალიციაშიც ბევრს არ მოეწონა, ოღონდ სხვა თვალსაზრისით. საგარეო საქმეთა მინისტრის, პარტიის „ჩვენი სახლი ისრაელია" ლიდერ ავიგდორ ც აზრით, ბედუინების უკანონო დასახლებების ლეგალიზაცია მათ იმისკენ წააქეზებს, რომ სახელმწიფოს კუთვნილი მიწები კვლავ დაიკავონ. ლიბერმანი კანონდამრღვევების მიმართ მკაცრი ზომების მიღებას მოითხოვს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს მასობრივ არეულობას გამოიწვევს. ამ კანონით უკმაყოფილოა აგრეთვე მემარჯვენე ბანაკის კიდევ ერთმა ლიდერმა, პარტია „ებრაული სახლის" თავმჯდომარემ ნაფტალი ბენეტმა.

სწორედ ამ კანონპროექტის ასეთმა ფართო კრიტიკამ - როგორც მარჯვნიდან, ასევე მარცხნიდან - აიძულა პრემიერი ნეთანიაჰუ, მისი განხორციელება შეეჩერებინა. თვით ბენი ბეგინიც ურჩევდა პრემიერ-მინისტრს, ბედუინების წინააღმდეგ მკაცრი ზომები არ გამოეყენებინა.

კანონი «თაროზე შემოდეს», ხოლო უახლოეს მომავალში, სავარაუდოდ, ახალი კომისია შეიქმნება, რომელიც ბედუინების არალეგალური დასახლებების პრობლემის გადასაჭრელად ახალ რეკომენდაციებს მოამზადებს.

„ბი-ბი-სის" მიხედვით
მოამზადა ივა შილაკაძემ

ჭაბუა ამირეჯიბი - თავისუფლებისთვის განწირული ბიოგრაფია

პირველი გვერდიდან



ჭაბუა ამირეჯიბი იყო და არის ლეგენდა იმ თაობისთვის, რომელიც გაიზარდა იმ დროს, როცა მისი გახმაურებული ტექსტი ხელიდან ხელში გადადიოდა. მაგრამ არანაკლებ საინტერესოა იმ თაობისთვის, რომელიც მისი პიროვნებისა და ცხოვრების პარადოქსალურობას აკვირდებოდა. ვინ იყო ჭაბუა ამირეჯიბი? ადამიანი, რომელმაც საბჭოთა გულაგებს ძლივს დააღწია თავი, საბჭოთა რეჟიმისთვის სიკვდილმისჯილი დისიდენტი და ადამიანი, რომელსაც მოკრძალებით ეგებებოდნენ საბჭოთა მწერალთა კავშირის ე.წ. ინტელიგენცია... ჭაბუა ამირეჯიბი არა მხოლოდ დიდი ქართველი მწერალია, არამედ ადამიანი, რომლის ბიოგრაფიაც საბჭოთა კავშირის ისტორიის სირთულეების და პარადოქსების მატარებელიც აღმოჩნდა.

ჭაბუა ამირეჯიბი ჩვენი კულტურული სივრცის ყველა მნიშვნელოვანი პრემიის მფლობელია. არაერთი საინტერესო ტექსტის ავტორი. ბოლო წლებში მიიღო პრემია საბა ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. ავადმყოფობისგან დადუმებული მწერალი მაინც ახერხებდა საზოგადოებისთვის მოეწოდებინა ქველმოქმედების და სიკეთის აუცილებლობას. ეს საზოგადოება მუდმივად გრძნობდა ამირეჯიბის სოციალურ აქტივობას და თანადგომასაც. ჭაბუა ამირეჯიბი სამი წლის წლის წინ ბერად აღიკვეცა. თუმცა თავისუფლების ბრძოლისთვის ბევრად ადრე გადადო თავი. ადამიანისთვის ბრძოლასა და რეჟიმისგან თავისუფლებას შესწირა თავისი შემოქმედების მთავარი გმირიც. გმირი, რომელიც სამუდამოდ დარჩება ქართულ ლიტარტურაში, როგორც სიკეთისა და თავისუფლების დიდი მეტაფორა, იმდენად ზოგადი და აბსოლუტური, რომლის წინაშეც არაფერი ეთქმოდა თავის დროზე ცენზურას და არც არაფერი ეთქმის ყველაზე კრიტიკულ მკითხველს.

„ოქროს გლობუსმა„ ტრიალი დაიწყო

რობერტ რედფორდის დიდი და ეული დაბრუნება

ია ვეკუა

დაჯილდოების ცერემონიალამდე ერთი თვით ადრე ჰოლივუდის უცხოელმა კინოკრიტიკოსებმა „ოქროს გლობუსის“ ნომინაციების შესახებ გვამცნეს. ეს მოკლე სია „ოსკარის“ მომავალი ფავორიტების შესახებაც იძლევა ინფორმაციას, თუმცა, როგორც ბოლო წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, „გლობუსი“ „უფროსი ძმისგან“ დაშორებას სულ უფრო მეტი შემართებით ცდილობს. მცდელობის მიუხედავად, ეს ყოველთვის არ გამოსდის, რადგან კარგი ფილმები ცოტაა, უკეთესები კი უფრო ნაკლები, ამიტომ ორიგინალური ნომინაციების შედგენა პრაქტიკულად შეუძლებელია.

„ოქროს გლობუსმა“ მაინც მოახერხა და მთავარ ნომიაციებში ზოგი ისეთ ფილმი შეიყვანა, რომელთა შესახებაც აქამდე ძალიან ცოტას ლაპარაკობდნენ. მაგალითად რომ ჰოვარდის „ქროლვა“, რომელშიც რეჟისორი 70-იანი წლების ვარსკვლავი მრბოლელების, „ფორმულა 1-ის“‘ლეგენდა ჯეიმს ჰანტისა და ნიკი ლაუდას ურთიერთობისა და დაპირისპირების შესახებ მოგვითხრობს. ფილმს ძალიან კარგი შეფასება აქვს, კრიტიკოსები კი ერთხმად აცხადებენ, რომ ეს გახლავთ „ცოფიანი ხარისა“ და „ცეცხლოვანი ეტლების“ დონის სპორტული დრამა. „ქროლვის“ კონკურენტები „ოქროს გლობუსის“ ვერსიით „12 წლიანი მონობა“, „კაპიტანი ფილიპსი“, „გრავიტაცია“ და „ფილომენაა“. ეს უკანასკნელი სტივენ ფრირზის ოჯახური დრამა გახლავთ, რომელმაც ტორონტოს კინოფესტივალის კონკურსში მეორე ადგილი დაიკავა.

ამ ნომინაციის მიღმა დარჩა წლის ერთ-ერთ მოვლენად აღიარებული „ლი დანიელის მსახურთუფროსი“, „დალას ბაიერსის კლუბი“, „ფრუტველის სადგური“, „მადი“ და „მანდელა: შორი გზა თავისუფლებისკენ“. კომედიისა და მიუზიკლის ნომინაციაში მოხვედრა კი ვერ მოახერხა ვუდი ალენის „ლურჯმა ჟასმინმა“, რომელსაც ნომინაციას გამოსვლისთანავე უწინასწარმეტყველებდნენ. მის ადგილას აღმოჩნდა დევიდ ო. რასელის American Hustle, სპაიკ ჯონსის „ის“, ძმები კოენების „ლუინ დევისის შიგნით“, ალექსანდერ პეინის „ნებრასკა“ და მარტინ სკორსეზეს „უოლ სტრიტის მგელი“.

საუკეთესო დრამის მთავარი მსახიობების ორივე ნომინაციაში ნამდვილი დრამაა მოსალოდნელი, განსაკუთრებით ქალ მსახიობებს შორის, რადგან აქ ერთმანეთს ერთბაშად ხუთი ოსკაროსანი მსახიობი ეჯახება: კეიტ ბლანშეტი, სანდრა ბალოკი, ჯუდი დენჩი, ემა ტომპსონი და კეიტ უინსლეტი. ამ ნომინაციაში შეიძლებოდა მოხვედრილიყო ადელ ექსარჩოპულოსი „ადელის ცხოვრებიდან“ და ბერენის ბეჟო ასღარ ფარჰადის „წარსულიდან“ (როგორც წესი, უცხოელი მსახიობების ნომინირება „ოსკარს“ უფრო უყვარს, ამიტომ „გლობუსს“ ძალიანც ნუ ვუსაყვედურებთ).

მიუზიკლსა და კომედიაში შესრულებული როლისთვის სკარლეტ იოჰანსონის ნომინირება შეიძლებოდა („დონ ჯონი“), თუმცა ამ ხუთეულში მხოლოდ ჟული დელპი („შუადღემდე“), ემი ადამსი (American Hustle), გრეტა გერვინგი („ფრენსის ჰა“), ჯულია ლუის დრეიფუსი („საკმარისად ნათქვამია“) და მერილ სტრიპი („აგვისტო: ოსაჟის საგრაფო“) მოხვდნენ. ეს უკანასკნელი წელს ბევრისთვის იქცევა უხერხულობის მიზეზად, რადგან ყველამ კარგად იცის, რას ნიშნავს, როდესაც კონკურენტი მერილ სტრიპია. ეს მსახიობისთვის 28-ე ნომინაციაა, მას უკვე აქვს რვა „ოქროს გლობუსი“ და, თუ კრიტიკოსებს დავუჯერებთ, მე-9-ეს მოპოვების შანსიც გააჩნია.

მრავალი წლის შემდეგ ნომინაციაში რობერტ რედფორდის სახელი გამოჩნდა. უკანასკნელი ნომინაცია 1999 ჰქონდა „ცხენების შემლოცველისთვის“ ისიც რეჟისურაში (ზოგადად, როგორც მსახიობი, „ოქროს გლობუსზე“ პირველადაა ნომინირებული), ხოლო „ოსკარზე“ მისმა სახელმა ბოლოს 2002 წელს გაიჟღერა, როდესაც საპატიო „ოსკარით“ დააჯილდოეს. მთავარი როლის ნომინაციაში რობერტ რედფორდი დებიუტანტ ჯეი სი ჩანდორის ფილმში „ყველაფერი დასრულდა“ თამაშისთვის მოხვდა. აღსანიშნავია, რომ რედფორდი ფილმის ერთადერთი პერსონაჟია, ეკრანზე მის გარდა არავინ ჩანს და არც ვინმეს ხმა ისმის. კინოანალიტიკოსები არ მალავენ, რომ რედფორდს გამარჯვების დიდი შანსი აქვს, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მას საკმაოდ სერიოზული კონკურენტები ჰყავს: ჩივეტელ ეჟიოფორი („12 წლიანი მონობა“), იდრის ელბა („მანდელა“. ამ მსახიობის შანსები ნელსონ მანდელას გარდაცვალების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა), ტომ ჰენკსი („კაპიტანი ფილიპსი“) და მეტიუ მაკონაჰი („დალას ბაიერის კლუბი“). გუდასაწყვეტია, რომ ნომინაციაში ადგილი არ დარჩა ფორესტ უიტეკერისთვის („ლი დანიელსის მსახურთუფროსი“) და ჰიუ ჯეკმანისთვის („ტყვეები“) - ორივე მსახიობი შესანიშნავ პერფორმანსს გვთავაზობს.

ამბობენ, რომ წელს შეიძლება ლეონარდო დიკაპრიოს გაუმართლოს და „ოსკარი“ თუ არა, „ოქროს გლობუსი“ მაინც მიიღოს. ამის, ცხადია, არავის სჯერა, თვით ლეოსაც, მით უფრო, რომ კონკურენტებად კრისტიან ბეილი, ბრუს დერნი („ნებრასკა“), ხოაკინ ფენიქსი და ოსკარ ისააკი ჩაუსვეს კოენების „ლუინ დევისში“ ბრწყინვალედ შესრულებული როლისთვის.

ძალიან საინტერესოდ გამოიყურება მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის ნომინაცია. ყველა ელოდა, რომ აქ მაიკლ ფასბენდერისა და ბრედლი კუპერის სახელებს ამოვიკითხავდით, მოსალოდნელი იყო გერმანელი დანიელ ბრულის („ქროლვა“) ნახვაც, მაგრამ ყოვლად უსუსური ჯარედ ლეტო („დალას ბაიერის კლუბი“) ძალიან უადგილოდ გამოიყურება. უფრო დიდი მოულოდნელობა კი ნომინაციაში „კაპიტან ფილიპსის“ მსახიობ ბარჰად აბდის მოხვედრა აღმოჩნდა, რომელმაც პოლ გრინგრასის ფილმში თავისი პირველი როლი შეასრულა. ამ ნომინაციაში მოხვედრას ნამდვილად იმსახურებდა ჯეიკ გილენჰოლიც („ტყვეები“), რომელსაც წელს, შესაძლოა, კარიერის საუკეთესო როლი აქვს.

ძალიან მსუყედ გამოიყურება უცხოენოვანი ფილმის ნომინაცია. აქ მთავარი ჯახი, სავარაუდოდ, პაოლო სორენტინოს „დიდებულ სილამაზესა“ და აბდელატიფ ქეშიშის „ადელის ცხოვრებას“ შორის გაიმართება. სწორედ ამ ორს შორის გამარჯვებული მოექცევა იმ ნომინაციის სათავეში, რომელშიც ასევე მოხვდა დანიური „ნადირობა“, ასღარ ფარჰადის „წარსული“ და ჰაიაო მიაძაკის ანიმე „ქარი ძლიერდება.

შეგახსენებთ, რომ „ოქროს გლობუსი“ სატელევიზიო პროექტებსაც აჯილდოებს. ნომინაციების სრული სია შეგიძლიათҮპრემიის ვებგვერდზე ნახოთ, დაჯილდოების ცერემონიალი კი 12 იანვარს გაიმართება.

დავით მირცხულავა: „ხუდონჰესზე გამომუშავებული ენერგიის უდიდესი ნაწილი საქართველოში დარჩება„

ხუდონჰესის მშენებლობა აქტუალური თემა იყო და ახლო მომავალშიც დარჩება. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ეს იქნება ყველაზე მძლავრი ჰიდროელექტროსადგური, რომელიც ენგურის ზედა ბიეფში უნდა აშენდეს. ჰესის პარამეტრები მართლა შთამბეჭდავია: 702 მეგავატი დადგმული სიმძლავრე, მილიარდ ხუთასი მილიონი კვტ.სთ გამომუშავება, მშენებლობის ექვსი წლის მანძილზე ერთდროულად 4000 ადამიანის დასაქმება, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს რეგიონის განვითარებას. ჰესის ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ მუდმივად დასაქმებული იქნება, სულ მცირე, 250 ადამიანი. სხვა სიკეთეებთან ერთად, იკვეთება ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი - ენგურჰესის წყალსაცავის რეგულირება, რადგან ხუდონის აშენების შემდეგ ენგურჰესზე შესაძლებელი იქნება დამატებით, ყველანაირი ინვესტიციის გარეშე, გამომუშავდეს 470 მლნ. კვტ.სთ, რაც, დაახლოებით, ახალი ჟინვალ-ჰესის აშენებას ნიშნავს და ეს ენერგია იმავე ფასად - 1,18 თეთრად შევა საქართველოს ენერგოსისტემაში.

ხუდონჰესის პროექტისა და ზოგადად ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების შესახებ გვესაუბრება კომპანია «ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“ ტექნიკური ხელმძღვანელი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი და სემეკის ყოფილი თავმჯდომარე დავით მირცხულავა.

- ბატონო დავით, ხუდონჰესის პროექტის შესახებ ძალიან ხშირად ვისმენთ განსხვავებულ პოზიციებს. გარემოს დამცველები ამ პროექტს კატასტროფად მიიჩნევენ, ენერგეტიკოსები კი - ქვეყნის ხსნად. იქნებ, მოკლედ გვითხრათ ამ პროექტის შესახებ.

- მე საერთოდ არ მომწონს ასეთი რადიკალური გამოთქმები: «კატასტროფული“ ან «ქვეყნის ხსნა“ და ა.შ. შემიძლია, მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ამ პროექტში გარემოზე ნებისმიერი ნეგატიური ზემოქმედება მინიმუმამდეა დაყვანილი. ამიტომ, რამე სახის კატასტროფაზე საუბარი აშკარად გაზვიადებულია და რეალობას არ ეფუძნება. ამის თქმისას ვხელმძღვანელობ «ხუდონჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასებით“, რომელიც ფრანგულმა და იტალიურმა ცნობილმა კომპანიებმა ჯერ კიდევ 2008 წელს მსოფლიო ბანკის დაკვეთით გააკეთეს; ასევე «ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“ დაკვეთით შესრულებულ მრავალრიცხოვან კვლევებს, რომლებსაც უამრავი ქართველი და უცხოელი ავტორი ჰყავს და რომლებიც გარემოზე ზემოქმედების შეფასების 2013 წლის ნაშრომში აისახა.

ახალა რაც შეეხება ხუდონჰესის მიერ „ქვეყნის ხსნას“, აქაც შემიძლია, უამრავი ნაშრომი მოვიყვანო, რომლებიც განსაზღვრავს და ასაბუთებს ჩემს მიდგომას ამ საკითხის მიმართ, მაგრამ მოვიყვან იმ ნაშრომს, რომელიც თავისი მნიშვნელობით უნიკალურია და საქართველოს ენერგოსისტემის სტრატეგიული გრძელვადიანი განვითარების საფუძვლად უნდა გამოდგეს. აღნიშნული ნაშრომი - „საქართველოს ენერგოსექტორის განვითარების გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასება“ - ცნობილმა სერბულმა კომპანიამ 2008 წელს შეასრულა და მსოფლიო ბანკმა დააფინანსა. ასეთი ტიპის ნაშრომები მთელ მსოფლიოში, ყოველ შემთხვევაში, განვითარებულ ქვეყნებში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მთავრობებისთვის დასახმარებლად გამოიყენება, როდესაც საქმე ეხება ენერგოსექტორის განვითარების გრძელვადიანი მიმართულებების განსაზღვრა-დაგეგმვას. გნებავთ, უფრო მარტივად ვიტყვი, ასეთი ნაშრომი და მისი რეკომენდაციები მსოფლიოში ერთ-ერთი აპრობირებული საშუალებაა მთავრობებისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების დროს. ამ ანგარიშში გამოყენებულია მიდგომა, რომელიც ტექნიკურ, ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სოციალური საკითხების ინტეგრირებულ შეფასებებს ეფუძნება. ენერგოგენერაციის ალტერნატიული ვარიანტების განხორციელების სცენარები შეფასებულია არა მხოლოდ ეკონომიკურ საფუძველზე დაყრდნობით, არამედ ენერგოსექტორის, გენერაციის ობიექტების, მშენებლობის, გარემოსდაცვითი და სოციალური ზეგავლენების გათვალისწინებით. მოცემული კვლევა განკუთვნილი იყო 2008-2021 წლებში საქართველოს ენერგოსექტორის განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრისთვის. ნაშრომში განხილულია ყველა შესაძლო ენერგიის წყარო, რომლებმაც მომავალში შეიძლება, საქართველოს ელექტროენერგიით მომარაგებაში წვლილი შეიტანონ. სწორედ ამ მიდგომებითაა დასაბუთებული საქართველოს ენერგოსისტემისთვის ხუდონჰესის და სხვა კონკრეტული გენერაციის ობიექტების აუცილებლობა და როდესაც რომელიმე ექსპერტი საპირისპიროს ამტკიცებს, ელემენტარულია, რომ მათი განცხადებები ზემოთ აღნიშნული მოდელის გათვლებს მაინც ეფუძნებოდეს. სხვა შემთხვევაში, მათი განცხადებები პროფესიულ არგუმენტებს მოკლებულია და დილეტანტურია.

- ამას წინათ ებერტის ფონდის ეგიდით გაიმართა კონფერენცია ხუდონჰესის გამოწვევები“. როგორც პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, თქვენ არ ყოფილხართ მიწვეული.

- მე წავიკითხე საქართველოში ებერტის ფონდის ხელმძღვანელის, ქალბატონ თიკანაძის განცხადება, სადაც ის აცხადებს, რომ ჩვენთვის მოწვევა გამოუგზავნიათ და მეტიც, სატელეფონო საუბრისას ჩვენი ოფისიდან მონაწილეობაზე დასტურიც კი მიუღიათ. აღნიშნული კონფერენცია 6 დეკემბერს ჩატარდა და, ჩვენი ოფისის საქმიანი შეხვედრებიდან გამომდინარე, 6 დეკემბრამდე 2 კვირის განმავლობაში ჩვენს თბილისის ოფისში მხოლოდ მე და რამდენიმე ჩემი უცხოელი კოლეგა ვიმყოფებოდით. აქედან გამომდინარე, სატელეფონო საუბარი ჩემთან უნდა შემდგარიყო და მეტიც, მოსაწვევი მე უნდა მიმეღო. ასეთ რამეს ნამდვილად არ ჰქონია ადგილი. ჩემთან ოფისში არც მოსაწვევი მოუტანია ვინმეს და არც ამ თემაზე მქონია ვინმესთან სატელეფონო საუბარი. მივიჩნიოთ, რომ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. თუმცა დასანანია, რადგან ჩვენი მონაწილეობის შემთხვევაში კონფერენციის მონაწილენი ხუდონჰესის პროექტის შესახებ ამომწურავ, დასაბუთებულ და პროფესიონალურ ინფორმაციას მიიღებდნენ.

- ერთ-ერთი ორგანიზატორი, ნინო ჩხობაძე მუდმივად აღნიშნავს, რომ გეოლოგია, ჰიდროლოგია, სეისმიკა და ასე შემდეგ საკითხები სათანადოდ არ არის შესწავლილიო, რასაც გარემოს დაცვის მინისტრიც იმეორებს. რას უპასუხებდით მათ?

- პირველ რიგში, ვუდასტურებ ჩემს ღრმა პატივისცემას ამ ქალბატონს და მინდა, ამ მიმართულებით განვაცხადო, რომ 2012-2013 წლებში ხუდონჰესის მშენებლობის რაიონი გეოლოგიურად შეისწავლეს ცნობილმა, უდიდესი საერთაშორისო გამოცდილების და ავტორიტეტის მქონე შვეიცარიელმა გეოლოგება, ინჟინრებმა: პიტერ ჯუიტმა, ჯულიანო რიბეირომ, ოლივერ მიულერმა და სხვებმა. ასევე საველე კვლევებში მონაწილეობდნენ ქართველი გეოლოგები, ინჟინრები. გეოლოგიური კვლევების სპეციფიკაციები და მოცულობები შეესაბამება ასეთი ტიპის ნაგებობების მსოფლიოში არსებულ ყველაზე მაღალ მოთხოვნებს და სტანდარტებს. აქედან გამომდინარე, ამ მიმართულებით რამე შენიშვნას ან შეშფოთებას ვერ გავიზიარებ. თუ პატივცემული ქალბატონების შეშფოთება ხუდონის კაშხლის ფუძის რაიმე გეოლოგიურ, ფიზიკო-მექანიკურ, ფილტრაციულ, გეოფიზიკურ ან სხვა ტიპის მახასიათებლებს ეხება, შემიძლია, განვაცხადო, რომ კაშხლის ფუძის გეოლოგია ასეთი ტიპის ნაგებობებისთვის მისაღებია და ის მსოფლიოში ამ მიმართებით მიღებულ ნებისმიერ კრიტერიუმს აკმაყოფილებს.

რაც შეეხება ჰიდროლოგიას, მდინარე ენგური ერთადერთი მდინარეა საქართველოში, სადაც ჰიდროლოგიური მონაცემების აღება, ფაქტობრივად, არასდროს შეწყვეტილა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მასზე ენგურჰესის წყალსაცავი არსებობს. საქართველოში, სამწუხაროდ, ძალიან მცირე რაოდენობის მდინარე გვაქვს, სადაც წინა საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან წყვეტა არ განეცადოს მდინარეთა ხარჯების გაზომვის უწყვეტ ვარიაციულ რიგს. საბედნიეროდ, მდინარე ენგურისთვის ასეთი ყოველდღიური მონაცემები 90-იანი წლებიდან დღემდე არსებობს.

მინდა, სეისმოლოგიურ კვლევებს შევეხო. ჩატარდა ხუდონჰესის მშენებლობის რაიონის დეტალური სეისმური შესწავლა, ასეთი ტიპის ნაგებობებისთვის სეისმური პარამეტრების შერჩევის მსოფლიოში აპრობირებული სახელმძღვანელო პრინციპებიდან გამომდინარე; განისაზღვრა ობიექტის სეისმური რხევების გასათვლელი ორი დონე: საექსპლუატაციო - პერიოდი 475 წელი და უსაფრთხოების შეფასების მიწისძვრა 10000 წელი. გადაისინჯა ობიექტის ლოკალური არის სეისმური აქტივობა. ობიექტის სეისმური შეფასება განხორციელდა ალბათური და დეტერმინისტული მიდგომებით, რაც მსოფლიოში მიღებულ მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაშია. ამის შესახებაც მინდა, განვაცხადო, რომ ქართველმა მეცნიერებმა უნიკალური სამუშაოები შეასრულეს, რომელთა ანალოგიც ქართულ სინამდვილეში აშენებული არც ერთი ობიექტისთვის არ მოიპოვება.

- მინდა, ექსპორტის თემაზე გკითხოთ. ამბობენ, რომ ხუდონის ენერგიის 91 პროცენტი თურქეთში საექსპორტოდ არის განკუთვნილი და საქართველოს, ფაქტობრივად, არაფერი დარჩება.

- ამ თემაზეც ბევრჯერ მომიწია განმარტების გაკეთება, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ, 133 მილიონი კილოვატსაათია (ხუდონჰესის ჯამური გამომუშავების, დაახლოებით, 9 პროცენტი) ენერგიის ის მოცულობა, რომელსაც სახელმწიფო ხუდონჰესიდან 2020 წელს გარანტირებულად შეიძენს. ანუ იმ ფასად, რაც დღეს ზამთრის ენერგიის ფასია. დამიჯერეთ, ხუდონის ეს ენერგია იმ პერიოდში უიაფესი იქნება, ბუნებაში არ არსებობს არავითარი კონტრაქტი დანარჩენი 91 პროცენტის ის გაყიდვაზე არც თურქეთში და არც სხვა ქვეყანაში. ამიტომ 91 პროცენტის უცხოეთში გაყიდვის შესახებ საუბარი არასერიოზულია. თუ რომელიმე ოპონენტს ასეთი ენერგიის შესყიდვის ხელშეკრულება ნანახი აქვს, წარმოადგინონ. დარწმუნებული ვარ, ხუდონჰესის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მის ენერგიაზე სწორედ ჩვენ ქვეყანაში იქნება ძალიან დიდი მოთხოვნა, ამაზე მეტყველებს ყველა პროგნოზული გათვლები და გამომუშავებული ენერგიის უდიდესი ნაწილი სწორედ საქართველოში დარჩება.

- ძალიან მტკივნეული თემაა განსახლება. ბუნებრივია, რთულია მამაპაპისეული სახლკარის დატოვება, ასევე პრობლემურია საფლავებისა და ეკლესიის თემა. თქვენი პოზიცია.

- გეთანხმებით, ძალიან მძიმე, სენსიტიური თემაა და ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ყველა პრობლემა და საკითხი მსოფლიოში მიღებული საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით უნდა გადაწყდეს, ისე როგორც ეს შეესაბამება ჩვენი სახელმწიფოს სტატეგიულ ინტერესებს და ადგილობრივი მოსახლეობის და მთელი საქართველოს მოსახლეობის ინტერესებს.

- მინდა, ენერგეტიკაში შექმნილი სიტუაციის შესახებ გკითხოთ, სადაც ბევრი პრობლემაა. თქვენი აზრით, როგორ უნდა განვითარდეს საქართველოს ენერგეტიკა? იმასაც ამბობენ, რომ ჯერ ენერგეტიკული სტრატეგია უნდა შევიმუშავოთ, რომელიც არ გვაქვს და მერე ვისაუბროთ ჰესების აშენებაზეო...

- ვფიქრობ, «ენერგო პრომ“ მინისტრის საყვედური აბსოლუტურად მართებულად დაიმსახურა. მიმაჩნია, რომ ენერგეტიკულმა საზოგადოებამ დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს ამ კომპანიის მიერ ჩატარებულ შემოდგომა-ზამთრის პერიოდისთვის მოსამზადებელ სამუშაოთა სპეციფიკას, მოცულობებს. ფაქტია, აქ პრობლემები არსებობს.

რაც შეეხება ენერგეტიკულ სტრატეგიას, აქაც განვმეორდები. 2004 წელს «ბაკურ სულაკაურის“ გამომცემლობამ გამოსცა საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგია, რომელიც 2020 წლამდე პერიოდს მოიცავდა. ქვეყანამ ამ თემატიკაზე პერმანენტულად უნდა იმუშაოს და ეს მუდმივი პროცესია. სასიხარულოა, რომ ამ მიმართულებით სამუშაოები დღესაც მიმდინარეობს.

სწორედ ასეთ სტრატეგიას თან სდევს, უფრო სწორად, მოჰყვება მისი ბუნებრივი ნაწილი - ენერგეტიკული სისტემის განვითარების დაგეგმვის მოდელების გამოყენება. ამის შესახებ ინტერვიუს დასაწყისში საკმაოდ ვისუბრე და არ გავიმეორებ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ენერგოსისტემის გენერაციის ობიექტების ასეთი დაგეგმვა 2008 წელს განხორციელდა და 2021 წლამდე პერიოდს მოიცავდა. ზემოთ აღნიშნული მოდელითაც და ნებისმიერი სხვა ადეკვატური მოდელის გამოყენებითაც საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას. ჰესების მშენებლობას ალტერნატივა არ გააჩნია.

- ახლახან გაიხსნა 500-კილოვატიანი ხაზი, იგეგმება ჯვარი ხორგას მშენებლობა. რას ფიქრობთ, შეძლებს კი საქართველო ამ ხაზების გამოყენებას? საკუთარი ენერგია ჯერ საკმარისი არ გვაქვს...

- ამის შესახებ პოზიტიური საუბარი დაუსრულებლად შემიძლია, მაგრამ მხოლოდ ერთ ასპექტს შევეხები - ჩვენი ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას. ენერგეტიკული უსაფრთხოების ინდიკატორულ მახასიათებლებს სწორედ ასეთი ობიექტები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს. ვისარგებლებ შემთხვევით და ყველა ენერგეტიკოსს, მთელ საქართველოს მიულოცავ ახალციხეში ქვესადგურისა და, ჩვენ ქვეყანასა და ამიერკავკასიაში პირველად, მუდმივი დენის ჩანართის ექსპლუატაციაში გაშვებას.

- დაბოლოს, როდის შეიტანთ გარემოს დაცვის სამინისტროში გარემოზე ზემოქმედების საბოლოო ანგარიშს?

- უახლოეს მომავალში. საბოლო ვერსიაში გათვალისწინებული იქნება ყველა ფასეული რეკომენდაცია და შენიშვნა. ასევე გარემოზე ზემოქმედების შეფასების საბოლოო ვერსიაში ახალი, დასრულებული კვლევები აისახება.

კობი, ლებრონი, ჰოვარდი, ჯაზი

ზურა თალაკვაძე



კობი ბრაიანტი და ლებრონ ჯეიმსი ფანების ფავორიტები არიან

ამ სეზონის „ოლ სთარი“ ნიუ ორლეანსში იქნება. კარგი დარბაზი, რომელმაც ხუთი წლის წინ მიიღო ორივე კონფერენციის ყველაზე პოპულარული ბიჭები და დარბაზმა დაისვენა. შემდეგი თეატრალური დადგმისთვის დაისვენა და ლიგა მზად არის ძველი გლადიატორების ახალი წარმოდგენისთვის. მანამდე ხმებს ითვლიან. ბოლო დროს ყველგან ხმებს ითვლიან და ამ საინტერესო ამბებში ორივე კონფერენციიდან 12-12 ვარსკვლავი მიიღებს მონაწილეობას.

შარშან MVP ლებრონ ჯეიმსი იყო. ლებრონი გახდა რეგულარულის MVP, ამ თეატრის MVP და სუპერფინალის MVP. ლებრონი წლის საუკეთესო კალათბურთელი, წლის საუკეთესო ლებრონი და ალბათ ამერიკაში წლის საუკეთესო სპორტსმენი იყო. ლებრონმა გამოკითხვის პირველი ეტაპი აღმოსავლეთის მაღლებში (ფორვარდები და ცენტრები) პირველ ადგილზე დაასრულა. ლოგიკურია. იქვეა კიდევ ერთი კარგი ბიჭი. ამ ბიჭმაც დაიმსახურა აღიარება. პოლ ჯორჯი ინდიანას“ ლებრონია და პეისერზმა“ ამ რეგულარულში უკვე მოუგო მაიამის“. ჯორჯი ლიგის მომავალია და ნიუ ორლეანსში იქნება. 16 თებერვალს ქალაქი, რომელშიც მიკი რურკი და ბობი დე ნირო ჰარი ეინჯელის ამბებს აგვარებდნენ, ლიგის 63-ე ოლ სთარს“ მიიღებს. ტელეტრანსლაციები უკვე შეიძინა ორასზე მეტმა ქვეყანამ. სოლიდურია და ეს მაჩვენებელი გაიზრდება. ნიუ ორლეანსში ჯაზი და ლებრონი დაიწყება. ლებრონი ჯერ არ არის ჯაზი. ლიგაში ეს სტატუსი მისტერ კობი ბრაიანტს აქვს და კობიც პირველზეა. დასავლეთის პატარებში (გამთამაშებელი და მსროლელი) პირველზეა. კობი პირველზე უნდა იყოს. ყველაფერში. და ბრაიანტმა ეს იცის. სხვებმაც იციან.

ალბათ ლოგიკურია, რომ, კობისთან ერთად, დასავლეთში ყველაზე მეტი ხმა კრის პოლმა მიიღო. პოლი კლასიკა და ლიგის საუკეთესო პირველი ნომერია. დასავლეთის უკანა ხაზი ლოს ანჯელესიდან წამოვა. ლეიკერსი“ და კლიპერსი“. წავა. თუ მწვრთნელების ნდობას მიიღებს, სათადარიგოებში იქნება სან ანტონიოს“ პირველი ნომერი, მისტერ ტონი პარკერი.

ლოგიკურია, რომ დასავლეთის ფორვარდებში და კონფერენციის ცენტრებში ფავორიტობენ კევინ დიურანი და ბლეიქ გრიფინი. დიურანი უფრო კლასით და კალათბურთით იღებს ხმებს და გრიფინი პოპულარულია. ბლეიქი რამდენიმე ჯებირს გადააფრინდება, ვინმეს მანქანას გადააბიჯებს და ჩატენვების კონკურსის მოგონებებს გახსნის. გრიფინი და დეანდრე ჯორდანი პოლის პასების დიეტაზე არიან. კლიპერსი“ მაინც არ არის სტაბილური. ტიმ დანკანი ჯერ უკან ზის და თუ ბებერმა მეომარმა მწვრთნელების ნდობა უნდა მიიღოს, ეს არ მოწონება გრეგ პოპოვიჩს. ტიმის დროს უფრთხილდებიან და ტიმი ფლეი ოფის ტიპია. არა ოლ სთარის“.

მეორეზე დასავლეთის მაღლებში დუაიტ ჰოვარდი ჩამოჯდა. ყველაზე განიერი კლიენტი, რომელიც წელს ბევრ ქულას, ბევრ მოხსნას , ბევრ დაფარებას და ბევრ მილიონ დოლარს იღებს. ესეც ლოგიკურია. ჰოვარდებმა ბევრი მილიონი უნდა წამოიღონ. ჰოვარდები ამას იმსახურებენ. არ არის გამორიცხული, ჰოვარდთან ერთად, ნიუ ორლეანსში როკეტსის“ კიდევ ერთი ბიჭი, სწრაფი და მოუსვენარი ჯეიმს ჰარდენი ჩავიდეს.

აღმოსავლეთის კონფერენცია

მაღლები: 1. **ლებრონ ჯეიმსი** (მაიამი), **609 336**; 2. **პოლ ჯორჯი** (ინდიანა), **489 335**; 3. **კარმელო ენტონი** (ნიუ იორკი), **424 211**; 4. **როი ჰიბერტი** (ინდიანა), **208 369**; 5. **კრის ბოში** (მაიამი), **156 364**; 6. **კევინ გარნეტი** (ბრუკლინი), **102 825**; 7. **იოაკიმ ნოა** (ჩიკაგო), **75 229**; 8. **ჯეფ გრინი** (ბოსტონი), **55 912**; 9. **ლუოლ დენგი** (ჩიკაგო), **54 340**; 10. **ტაისონ ჩენდლერი** (ნიუ იორკი), **51 738**; 11. **ანდრე დრამონდი** (დეტროიტი), **51 351**; 12. **კარლოს ბუზერი** (ჩიკაგო), **48 375**; 13. **პოლ პირსი** (ბრუკლინი), **45 145**; 14. **ბრუქ ლოპესი** (ბრუკლინი), **37 153**; 15. **ჯოშ სმიტი** (დეტროიტი), **32 025**.

პატარები: 1. **დუეინ უეიდი** (მაიამი), **396 279**; 2. **კაირი ირვინგი** (კლივლენდი), **365 712**; 3. **დერიკ როუზი** (ჩიკაგო), **272 410**; 4. **ჯონ უოლი** (ვაშინგტონი), **124 851**; 5. **რეი ალენი** (მაიამი), **99 464**; 6. **რაჟონ რონდო** (ბოსტონი), **80 889**; 7. **დერონ უილიამსი** (ბრუკლინი), **44 282**; 8. **ჯორჯ ჰილი** (ინდიანა), **42 536**; 9. **ივან ტერნერი** (ფილადელფია), **33 605**; 10.**მარიო ჩალმერსი** (მაიამი), **32 996**.

დასავლეთის კონფერენცია

მაღლები: 1.**კევინ დიურანი** (ოკლაჰომა), **607 407** ხმა; 2. **დუაიტ ჰოვარდი** (ჰიუსტონი), **295 120**; 3. **ბლეიქ გრიფინი** (კლიპერსი), **292 925**; 4. **კევინ ლავი** (მინესოტა), **275 506**; 5. **ტიმ დანკანი** (სან ანტონიო), 217 271; 6. **ენტონი დევისი** (ნიუ ორლეანი), **149 579**; 7. **პო გასოლი** (ლეიკერსი), **133 199**; 8. **ლამარკუს ოლდრიჯი** (პორტლენდი), **132 818**; 9. **ანდრე იგუოდალა** (გოლდენ სტეიტი), **109 745**; 10. **დირკ ნოვიცკი** (დალასი), **89 093**; 11. **ჩანდლერ პარსონსი** (ჰიუსტონი), **77 179**; 12. **დემარკუს კაზენსი** (საკრამენტო), **60 923**; 13. **დევიდ ლი** (გოლდენ სტეიტი), **60 215**; 14. **კავაი ლეონარდი** (სან ანტონიო), **55 023**; 15.**ომერ აშიქი** (ჰიუსტონი), **55 827**.

პატარები: 1. **კობი ბრაიანტი** (ლეიკერსი), **501 215**; 2. **კრის პოლი** (კლიპერსი), **393 313**; 3. **სტივენ კარი** (გოლდენ სტეიტი), **327 449**; 4. **ჯერემი ლინი** (ჰიუსტონი), **240 404**; 5. **ჯეიმს ჰარდენი** (ჰიუსტონი), **198 667**; 6. **რასელ უესთბრუქი** (ოკლაჰომა), **149 065**; 7. **ტონი პარკერი** (სან ანტონიო), **112 423**; 8. **რიკი რუბიო** (მინესოტა), **63 096**; 9. **სტივ ნეში** (ლეიკერსი), **60 782**; 10. **დამიან ლილარდი** (პორტლენდი), **55 847**.

ამ სეზონის ოლ სთარი“ ნიუ ორლეანსში იქნება. კარგი დარბაზი, რომელმაც ხუთი წლის წინ მიიღო ორივე კონფერენციის ყველაზე პოპულარული ბიჭები და დარბაზმა დაისვენა. შემდეგი თეატრალური დადგმისთვის დაისვენა და ლიგა მზად არის ძველი გლადიატორების ახალი წარმოდგენისთვის. მანამდე ხმებს ითვლიან. ბოლო დროს ყველგან ხმებს ითვლიან და ამ საინტერესო ამბებში ორივე კონფერენციიდან 12-12 ვარსკვლავი მიიღებს მონაწილეობას.

შენგელიას „ბრუკლინმა„ ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო



თორნიკე შენგელიას „ბრუკლინ ნეთსი“ ფორმაში შედის. წაგებებს გაშინაურებულმა ბრუკლინელებმა, როგორც იქნა, გამარჯვების გემო გაიხსენეს - ზედიზედ მესამე მატჩი მოიგეს. მესამე მოგება იმითაც ფასობს, რომ მეტოქედ წყნარი ოკეანის დივიზიონის ლიდერი „ლოს ანჯელეს კლიპერსი“ ჰყავდათ (102:93).

შენგელიამ მოედანზე 04:25 წუთი გაატარა და 1 ორქულიანის აცილება და 1 პერსონალური ფოლის მიღება მოასწრო. ქართველისგან განსხვავებით, კარგად ითამაშა „ბრუკლინის“ კიდევ ერთმა სათადარიგომ ენდრიუ ბლატჩმა, რომელმაც 27:43 წუთში 21 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა და მოგვიანებით მატჩის საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელეს.

„ბრუკლინს“ 14 მარცხი და 8 გამარჯვება აქვს და ატლანტის დივიზიონში მეორე საფეხურამდე დაწინაურდა, აღმოსავლეთ კონფერენციაში კი მეათე ადგილზეა.

დღეს, გამთენიისას, შენგელიას „ბრუკლინი“ ცენტრალური დივიზიონის ერთ-ერთ ლიდერს, „დეტროიტ პისტონზს“ ესტუმრება, ხოლო ტრავმირებული ზაზა ფაჩულიას „მილუოკი ბაქსი“ - „ჩიკაგო ბულზს.

მიხეილ გაბრიჩიძე 14-წლამდელთა ტურნირს აფასებს

თბილისის კალათბურთის განვითრების კავშირმა კიდევ ერთი ტურნირი ჩაატარა. 14-წლამდელების ჩემპიონატი საინტერესო იყო და ასაკობრივ ამბებს საინტერესო პერსონა აფასებს. ტურნირის პატარა რეზიუმეს აკეთებს საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ახალი პრეზიდენტი, თბილისის კალათბურთის განვითრების კავშირის ვიცე-პრეზიდენტი მიხეილ გაბრიჩიძე:

ძალიან საინტერესო ტურნირი გამოვიდა. სამწუხაროდ, ჩემი საარჩევნო კამპანიისა და რეგიონული გასვლების გამო ვერ დავესწარი მატჩების დიდ ნაწილს, მაგრამ რაც ვნახე, კარგი იყო. ბავშვები იყვნენ მონდომებულები და ჩანდა, რომ მათ მეტის გაკეთება, თავიანთი თამაშის გაუმჯობესება უნდათ. ყველა ბავშვს ჰყავს კერპი - მოთამაშე, რომელიც მისთვის სამაგალითოა. ალბათ, ამ ტურნირის მონაწილეებსაც ჰყავთ საყვარელი მოთამაშეები. საერთოდ, დღევანდელი თაობის საკალათბურთო-ინფორმაციული ერუდიცია მაღალ დონეზეა. ყველას ყველაფერი აინტერესებს. პატარებმა იციან უამრავი სტატისტიკური მაჩვენებელი, ეცნობიან ისტორიულ ნარკვევებს. გამიხარდება, თუ ახალი თაობა ყველა ასპექტში გაიზრდება. ეს ისევ და ისევ მათთვის იქნება კარგი“.

ჰატარა დინამოელებმა „დინამოზე„ რევანში აიღეს და დინამიადაც მოიგეს

თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო აკადემიის U-13 გუნდმა, რომლის მთავარი მწვრთნელი ოთარ გაგნიძეა, რუსეთის ქალაქ სანკტ-პეტერბურგში დემენტიევის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი (დინამიადა) მოიგო.

ჯგუფურ ეტაპზე მოსკოველ თანაკლუბელებთან განცდილი მარცხის შემდეგ ქართველმა ფეხბურთელებმა სრულფასოვანი რევანში აიღეს. დინამიადის ფინალურ მატჩში ქართულმა გუნდმა მოსკოვის „დინამო“ - 3:2 დაამარცხა.

მატჩი თბილისელი ფეხბურთელების უპირატესობით წარიმართა. გოლები გაიტანეს გიორგი ჩაკვეტაძემ, ზუკა დავითაშვილმა და ნიკა ნინუამ.

ფინალურ მატჩში დინამოელთა სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო:

ბულისკერია, ჯიჭონაია, გაბელაია, ბექა ხარშილაძე, ბასარია, ნინუა, ჩაკვეტაძე, გიორგი ხარშილაძე, ჩიქოვანი, გულდედავა, დარცმელია.

ნახევარფინალურ მატჩში თბილისელმა მოზარდებმა კიევის „დინამოს“ თანატოლთა გუნდი ანგარიშით 3:1 დაამარცხეს (მეტოქის კარში ორი გოლი ნიკა ნინუამ გაიტანა, ერთი კი - გიგა გულდედავამ. ამასთან, ოთარ გაგნიძის გუნდმა მატჩის უკანასკნელი 10 წუთი კაცნაკლულმა ითამაშა).

„თანამეგობრობის თასი„ ქართველების გარეშე გათამაშდება

2004 წელს დინამომ ხორვატი მწვრთნელის ივო შუშაკის ხელმძღვანელობით, მოსკოვში თანამეგობრობის თასი მოიგო. ჩვენმა გუნდმა ფინალში ლატვიის სკონტო 3:1 დაამარცხა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ რუსული მხარის მიწვევასთან დაკავშირებით მწვრთნელებთან ერთად იმსჯელა და გადაწყვიტა, საქართველოს ნაკრები „თანამეგობრობის თასზე“ არ გაემგზავროს. საუბარი იყო ვასილ მაისურაძის 19-წლამდელთა ნაკრებზე, რომელსაც მაისში ელიტრაუნდის მატჩები ელის. მართალია, „თანამეგობრობის თასის“ მასშტაბური ტურნირი გუნდს წაადგებოდა, მაგრამ, იმის გამო, რომ 19-წლამდელთა ნაკრების უმრავლესობა უმაღლესი ლიგის კლუბების ძირითად შემადგენლობაში თამაშობს, ხოლო გათამაშება კლუბების საწვრთნელ შეკრებებს ემთხვევა, ფედერაციას მასზე უარის თქმა მოუხდა. ამასთან, 5 მარტამდე ფიფა-უეფას ოფიციალური სათამაშო დღეები არ არის და, აქედან გამომდინარე, კლუბები თავიანთ ფეხბურთელებს სანაკრებო შეკრებაზე ვერ გამოუშვებენ. შესაბამისად, ის მიზანი, რაც ამ ტურნირზე მონაწილეობას უნდა ჰქონოდა, ვერ შესრულდება.

„თანამეგობრობის თასის“ ტრადიციულ გათამაშებაში, რომელსაც 22 იანვრიდან 2 თებერვლამდე სანკტ პეტერბურგი უმასპინძლებს, ტრადიციისამებრ მონაწილეობენ დსთ-ისა და ბალტიისპირეთის გუნდები. 2014 წლის გათამაშებაში, მასპინძელ რუსეთთან ერთად, იასპარეზებენ ესტონეთის, ტაჯიკეთის, უკრაინის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ლიტვის, თურქმენეთის, მოლდოვის, ლატვიისა და ბელარუსის ახალგაზრდული გუნდები.